

ვეროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი

ვეროკავშირის სამართლებრივი აქტი 2009 წლის 16 სექტემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009/101/EC დირექტივა იმ გარანტიების კოორდინაციის თაობაზე, რომლებსაც, წევრებისა და მესამე მხარეების ინტერესების დასაცავად, ითხოვენ კომპანიებისგან წევრი სახელმწიფოები ხელშეკრულების 48-ე მუხლის მეორე პუნქტიდან გამომდინარე, რათა ამგვარი გარანტიები გახადონ თანაბარი¹		საქართველოს ნორმატიული აქტის / აქტების პროექტი / პროექტები და შესაბამისი მოქმედი ნორმატიული აქტი / აქტები , არსებობის შემთხვევაში: №1. საქართველოს კანონის პროექტი „მეწარმეთა შესახებ“; №2. საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“; №3. საქართველოს კანონი „საჯარო რეესტრის შესახებ“; №4. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2009 წლის 31 დეკემბრის N241 ბრძანებით დამტკიცებული „მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეგისტრაციის შესახებ“ ინსტრუქცია; №5. საქართველოს კანონი „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“; №6. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის N487 ბრძანებით დამტკიცებული „ინსტრუქცია საჯარო რეესტრის შესახებ“; №7. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი; №8. საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“; №9. საქართველოს კანონის პროექტი „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“; №10. საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №509 დადგენილებით დამტკიცებული დანართი „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების საფასურის განაკვეთები, საფასურის გადახდევინების წესი და მომსახურების ვადები“. შესაბამისობა: სშ – სრულად შესაბამისი ნშ – ნაწილობრივ შესაბამისი შ – შეუსაბამო ას – არასავალდებულო				
1	2	3	4	5	6	7
მუხლი ან	ნორმის ტექსტი	№	მუხლი ან პუნქტი	ნორმის ტექსტი	შესაბამისობა	შენიშვნები

¹ ცხრილის შედგენისას გამოყენებულია დირექტივის კონსოლიდირებული ვერსია 01/07/2013-ის მდგომარეობით. 2009/101/EC დირექტივა გაუქმებულია EU 2017/1132 დირექტივით, თუმცა არ იცვლება მისი შინაარსი, ამიტომ არ წარმოშობს პრობლემას დინამიური დაახლოების კრილიში.

ნაწილი			(ნაწილი)									
1	წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებული კოორდინაციის ზომები ვრცელდება წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობაზე, რეგულაციებსა და ადმინისტრაციულ დებულებებზე რომლებიც დაკავშირებულია შემდეგი ტიპის კომპანიებთან: - ბელგია: <table><tr><td>naamloze vennootschap,</td><td>société anonyme,</td></tr><tr><td>commanditaire vennootschap op aandelen,</td><td>société en commandite par actions,</td></tr><tr><td>personenvennootschap met beperkte aansprakelijkheid,</td><td>société de personnes à responsabilité limitée;</td></tr></table> - ბულგარეთი: - акционерно дружество, дружество с ограничена отговорност, командитно дружество с акции; - ჩეხეთი: - společnost s ručením omezeným, akciová společnost; - დანია: - aktieselskab, kommanditaktieselskab, anpartsselskab; - გერმანია: - die Aktiengesellschaft, die Kommanditgesellschaft auf Aktien, die Gesellschaft mit beschränkter Haftung; - ესტონეთი: - aktsiaselts, osaühing; - ირლანდია: - Companies incorporated with limited liability; - საბერძნეთი: - ανώνυμη εταιρία, εταιρία περιορισμένης ευθύνης, εταιρία κατά μετοχές εταιρία; - ესპანეთი: - la sociedad anónima, la sociedad comanditaria por acciones, la sociedad de responsabilidad limitada; - საფრანგეთი: - société anonyme, société en commandite par actions, société à responsabilité limitée, société par actions simplifiée; - ხორვატია — dioničko društvo, društvo s ograničenom odgovornošću;	naamloze vennootschap,	société anonyme,	commanditaire vennootschap op aandelen,	société en commandite par actions,	personenvennootschap met beperkte aansprakelijkheid,	société de personnes à responsabilité limitée;	№1	1.1	ეს კანონი განსაზღვრავს სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებაზე უფლებამოსილების მქონე იურიდიული პირის დაფუძნების პროცედურებს, არსებობის ფორმებსა და მათი არსებობის პროცესში ამავე სუბიექტის ორგანიზაციულ-სამართლებრივ საკითხებს.	სშ	დირექტივის მოქმედება ვრცელდება იმ კომპანიებზე, რომელთაც აქვთ პასუხისმგებლობის შეზღუდული ფორმა. საქართველოში ასეთი სამეწარმეო საზოგადოებები იქნება შპს და სს. თუმცა, კანონპროექტის ინფორმაციის გასაჯაროებასთან / რეგისტრაციასთან დაკავშირებული მოთხოვნები ვრცელდება ყველა ტიპის სამეწარმეო საზოგადოებაზე.
naamloze vennootschap,	société anonyme,											
commanditaire vennootschap op aandelen,	société en commandite par actions,											
personenvennootschap met beperkte aansprakelijkheid,	société de personnes à responsabilité limitée;											
		№1	1.3	სამეწარმეო საზოგადოების წესდებით (შემდგომ - წესდება) ასევე შეიძლება მოწესრიგდეს საკითხები, რომლებიც არ არის მოწესრიგებული ამ კანონით, ან განივრცოს ამ კანონის ის ნორმები, რომლებიც ამომწურავად არ აწესრიგებს მოცემულ საკითხს.								
		№1	1.4	სააქციო საზოგადოების წესდებით ან აქციონერთა შეთანხმებით შეიძლება განისაზღვროს ამ კანონისგან განსხვავებული წესები მხოლოდ კანონით დაშვებულ შემთხვევებსა და ფარგლებში.								

- იტალია: società per azioni, società in accomandita per azioni, società a responsabilità limitata; - კვიპროსი: -δημόσιες εταιρείες περιορισμένης ευθύνης με μετοχές ή με εγγύηση, ιδιωτικές εταιρείες περιορισμένης ευθύνης με μετοχές ή με εγγύηση; - ლატვია: akciju sabiedrība, sabiedrība ar ierobežotu atbildību, komanditsabiedrība; - ლიეტუვა: - akcinė bendrovė, uždaroji akcinė bendrovė; - ლუქსემბურგი: - société anonyme, société en commandite par actions, société à responsabilité limitée; - უნგრეთი: - részvénytársaság, korlátolt felelősségű társaság; - მალტა: - kumpannija pubblika/public limited liability company, kumpannija privata/private limited liability company; - ნიდერლანდები: - naamloze vennootschap, besloten vennootschap met beperkte aansprakelijkheid; - ავსტრია: - die Aktiengesellschaft, die Gesellschaft mit beschränkter Haftung; - პოლონეთი: - spółka z ograniczoną odpowiedzialnością, spółka komandytowo-akcyjna, spółka akcyjna; - პორტუგალია: - a sociedade anónima de responsabilidade limitada, a sociedade em comandita por acções, a sociedade por quotas de responsabilidade limitada; - რუმინეთი: - societate pe acțiuni, societate cu răspundere limitată, societate în comandită pe acțiuni; - სლოვენია: - delniška družba, družba z omejeno odgovornostjo, komaditna delniška družba;					
---	--	--	--	--	--

	-სლოვაკეთი: - akciová spoločnosť, spoločnosť s ručením obmedzeným; -ფინეთი: - yksityinen osakeyhtiö/privat aktiebolag, julkinen osakeyhtiö/publikt aktiebolag; -შვედეთი: - aktiebolag; -გაერთიანებული სამეფო: - Companies incorporated with limited liability.					
2	წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები, რომლებიც აუცილებელია, რათა კომპანიებმა, როგორც მითითებულია მუხლში 1, უზრუნველყონ მინიმუმ შემდეგი დოკუმენტებისა და მონაცემების სავალდებულო გასაჯაროება:	№1	10.1. „ა“	სამეწარმეო საზოგადოების რეგისტრაციისთვის მარეგისტრირებელ ორგანოს წარედგინება: ა) სადამფუძნებლო შეთანხმება;	სშ	
2.(a)	სადამფუძნებლო დოკუმენტაცია და წესდება, თუ ის ცალკე დოკუმენტის შემადგენლობაშია;					
2.(b)	პუნქტში (a) მითითებულ დოკუმენტებში შესული შესწორებები, მათ შორის კომპანიის საქმიანობის ვადის გახანგრძლივების ჩათვლით;	№1	13.1	სადამფუძნებლო შეთანხმების, მათ შორის წესდების ამ კანონის მე-6 და მე-7 მუხლებით გათვალისწინებული მონაცემების ცვლილება უნდა დარეგისტრირდეს რეესტრში.	სშ	
2.(c)	კონსტიტუციის ინსტრუმენტის ან წესდების ყოველი შესწორების შემდეგ, აქტის სრული ტექსტი ან წესდება, რომელიც შეტანილია ცვლილებამდე;	№1	13.7	მეწარმის რეგისტრირებული მონაცემის ცვლილება ხორციელდება „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად.	სშ	
2.(d)	იმ პირთა დანიშვნა, უფლებამოსილების შეწყვეტა და მონაცემები, რომლებიც, ან როგორც კანონის თანახმად ჩამოყალიბებული ორგანო, ან როგორც ამ ორგანოს წევრები: (i) უფლებამოსილი არიან წარმოადგინონ კომპანია მესამე მხარესთან და სამართალწარმოების დროს; გასაჯაროებისას ნათლად უნდა ჩანდეს, აქვთ თუ არა კომპანიის წარდგენის უფლებამოსილების მქონე პირებს ცალკე მოქმედების უფლება, თუ უნდა იმოქმედონ ერთობლივად; (ii) უფლებამოსილი არიან მონაწილეობა მიიღონ კომპანიის ადმინისტრირებაში, ზედამხედველობას ან კონტროლში;	№1 №1	6.2. „დ“ 6.2. „ზ“	ყველა სამართლებრივი ფორმის სამეწარმეო საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმება, წესდებასთან ერთად, უნდა შეიცავდეს: დ) ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის, აგრეთვე, ასეთის არსებობის შემთხვევაში, სამეთვალყურეო საბჭოს წევრის საიდენტიფიკაციო მონაცემებს და უფლებამოსილების ვადას (თუ ასეთი ვადა არის განსაზღვრული); ზ) სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის, აგრეთვე, არსებობის შემთხვევაში, სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა რაოდენობასა და მათი დანიშვნისა და გათავისუფლების წესს, თუკი ეს ამ კანონისგან განსხვავებულად არის მოწესრიგებული, ასევე, წევრთა უფლებამოსილებას;	სშ	
2.(e)	წელიწადში ერთხელ მაინც, გამოწერით გამოშვებული სააქციო კაპიტალის ოდენობა, სადაც სადამფუძნებლო დოკუმენტაცია ან წესდება მიუთითებს ნებადართულ კაპიტალზე, თუ სააქციო კაპიტალის ზრდა არ იწყვეტს წესდების ცვლილების საჭიროებას;	№1	14.5. „ბ“	ამ კანონით გათვალისწინებული სხვა შემთხვევების გარდა, გამოქვეყნებას ექვემდებარება: ბ) სულ მცირე წელიწადში ერთხელ, სააქციო საზოგადოებაში განთავსებული კაპიტალის მოცულობა, თუ ეს მონაცემი რეესტრში რეგისტრირებულია.	სშ	

2.(f)	თითოეული ფინანსური წლის სააღრიცხვო დოკუმენტაცია, რომლის გამოქვეყნება სავალდებულოა საბჭოს დირექტივების 78/660/EEC, 83/349/EEC, 86/635/EEC და 91/674/EEC შესაბამისად;	№1	58	1. ბუღალტრული აღრიცხვა, ანგარიშგების მომზადება და წარდგენა ხდება და აუდიტი ხორციელდება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. 2. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საზოგადოებრივი დაინტერესების პირი (შემდგომ – სდპ), პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები ვალდებული არიან, ყოველწლიურად უზრუნველყონ საკუთარი ფინანსური ანგარიშგების/კონსოლიდირებული ანგარიშგების აუდიტის განხორციელება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. 3. აუდიტის განხორციელებაში მეწარმე სუბიექტის აქციონერების/პარტნიორების, მმართველობითი ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ჩარევამ საფრთხე არ უნდა შეუქმნას აუდიტორის დამოუკიდებლობასა და ობიექტურობას. 4. მეწარმე სუბიექტის მმართველობის ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ერთობლივად არიან პასუხისმგებელი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ანგარიშგებების მომზადებისა და წარდგენისათვის.“	სშ	
2.(g)	კომპანიის იურიდიული მისამართის ნებისმიერი ცვლილება;	№1 №1	6.2. „ბ“ 14.5	ყველა სამართლებრივი ფორმის სამეწარმეო საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმება, წესდებასთან ერთად, უნდა შეიცავდეს: ბ) სამეწარმეო საზოგადოების იურიდიულ მისამართს ამ კანონით გათვალისწინებული სხვა შემთხვევების გარდა, გამოქვეყნებას ექვემდებარება: ა) რეესტრში რეგისტრირებული მონაცემები და მათში ყოველი ცვლილება; ბ) სულ მცირე წელიწადში ერთხელ, სააქციო საზოგადოებაში განთავსებული კაპიტალის მოცულობა, თუ ეს მონაცემი რეესტრში რეგისტრირებულია.	სშ	
2.(h)	კომპანიის ლიკვიდაცია;	№1	80.3	ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილმა პირებმა ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტის შემთხვევაში უნდა მიმართონ მარეგისტრირებელ ორგანოს რეესტრში სამეწარმეო საზოგადოების დაშლის რეგისტრაციის განცხადებით. ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მარეგისტრირებელი ორგანო სასამართლოს ან ნებისმიერი პირის განცხადების საფუძველზე არეგისტრირებს სამეწარმეო საზოგადოების დაშლას.	სშ	
2.(i)	სასამართლოს ნებისმიერი გადაწყვეტილება კომპანიის ბათილად ცნობის შესახებ;				შ	კანონპროექტი არ ითვალისწინებს სასამართლოს მიერ

						კომპანიის ბათალდ ცნობას. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 82-ე მუხლი „ხარვეზიანი საზოგადოება“ იძლევა შესაძლებლობას კომპანიის რეგისტრაციის შეჩერების. იხილეთ კომენტარი დირექტივის მე-12 მუხლზე.
2. (j)	ლიკვიდატორთა დანიშვნა, მათთან დაკავშირებული მონაცემები და მათი უფლებამოსილებები, თუ ასეთი უფლებამოსილებები, პირდაპირ და მხოლოდ, არ გამომდინარეობს კანონიდან ან კომპანიის წესდებიდან;	№1	85.6	ხელმძღვანელი პირი ვალდებულია, განცხადებით მიმართოს მარეგისტრირებელ ორგანოს რეესტრში ლიკვიდატორების რეგისტრაციის თაობაზე. განცხადებით მიმართვის უფლება ასევე აქვს პარტნიორს. განცხადებას თან უნდა ერთოდეს ამ კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად დამოწმებული საბუთი ლიკვიდატორის დანიშვნის ან გათავისუფლების და მისი უფლებამოსილების შესახებ, ლიკვიდატორის ხელმოწერის ნიმუში, ხოლო თუ ლიკვიდატორი ხელმძღვანელი პირი არ არის, ასევე ლიკვიდატორის თანხმობა. ლიკვიდატორის ან მისი უფლებამოსილების ყოველი ცვლილებისას განცხადება რეესტრში ცვლილების რეგისტრაციის შესახებ შეაქვთ ლიკვიდატორებს.	სშ	
2. (k)	ლიკვიდაციის დასრულება და იმ წევრ სახელმწიფოებში, სადაც რეგისტრაციიდან ამოშლა წარმოქმნის სამართლებრივ შედეგებს - ასეთი ამოშლის ფაქტები.	№1	90.1	სამეწარმეო საზოგადოების ქონების სრულად განაწილება იწვევს ლიკვიდაციის დასრულებას. საწარმოს ლიკვიდაციის პროცესი უნდა დასრულდეს საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან არა უგვიანეს 4 თვისა, ხოლო საგადასახადო შემოწმების ვადის გაგრძელების შემთხვევაში – საგადასახადო შემოწმების დასრულების შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ ინფორმაციის მიღებიდან არა უგვიანეს ერთი თვისა.	სშ	

2a.1	წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ საჭირო ზომები, რათა უზრუნველყონ, ნებისმიერი ცვლილება მე-2 მუხლში მითითებულ დოკუმენტებსა და მონაცემებში შეტანილი იყოს მე-3 მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ კომპეტენტურ რეესტრში და გამოქვეყნებული იყოს მე-3 მუხლის მე-3 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, ჩვეულებრივ, 21 დღეში სრული ინფორმაციის მიღებიდან, ამ ცვლილებებთან დაკავშირებით, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, კანონიერების შემოწმების ჩათვლით, საქმეში შეტანისათვის.	№1	13.1	სადამფუძნებლო შეთანხმების, მათ შორის წესდების ამ კანონის მე-6 და მე-7 მუხლებით გათვალისწინებული მონაცემების ცვლილება უნდა დარეგისტრირდეს რეესტრში. 1. რეესტრში რეგისტრირებული მონაცემები საჯაროა. ნებისმიერ პირს აქვს უფლება გაეცნოს რეესტრის მონაცემებს და მარეგისტრირებული ორგანოსგან მიიღოს ამონაწერი. 2. ამონაწერი გაიცემა საქართველოს მთავრობის დადგენილებით ამონაწერის მომზადებისთვის დადგენილ ვადაში და განსაზღვრული საფასურის გადახდის შემდეგ. ამონაწერი მზადდება რეესტრის, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის, საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის, მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა და მოვალეთა რეესტრების მონაცემთა საფუძველზე დაასახავს რეგისტრირებული სუბიექტის შესახებ ძალაში მყოფ მონაცემებს ამონაწერის მომზადების მომენტისთვის. 3. რეგისტრაციის პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ელექტრონული ასლები განთავსებულია მარეგისტრირებელი ორგანოს ელექტრონულ პორტალზე და საფასურის გადახდის გარეშე ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისთვის. რეგისტრაციის მოთხოვნა ითვლება შესაბამისი პირის მიერ თანხმობად პერსონალური მონაცემების ამ მუხლით განსაზღვრულ დამუშავებაზე. 4. ამ კანონით ან წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, გამოქვეყნებად ითვლება ფაქტის შესახებ ინფორმაციის ან დოკუმენტის განთავსება მარეგისტრირებელი ორგანოს ელექტრონულ პორტალზე. 5. ამ კანონით გათვალისწინებული სხვა შემთხვევების გარდა, გამოქვეყნებას ექვემდებარება: ა) რეესტრში რეგისტრირებული მონაცემები და მათში ყოველი ცვლილება; ბ) სულ მცირე წელიწადში ერთხელ, საექციო საზოგადოებაში განთავსებული კაპიტალის მოცულობა, თუ ეს მონაცემი რეესტრში რეგისტრირებულია	სშ	„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, რეგისტრაციის, მასში ცვლილებისა და მისი შეწყვეტის, ასევე, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნით, წარდგენილი განცხადებები და დოკუმენტაცია პროგრამულად აისახება (ქვეყნდება) განცხადების წარდგენასთან ერთად არაუგვიანეს 1 საათისა. (როგორც წესი ნახევარ საათში იტვირთება) და ხელმისაწვდომია გასაცნობად ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, ყოველგვარი მომსახურების საფასურის გადახდის გარეშე. რეგისტრაციის და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება და ინფორმაციის გამოქვეყნება თანადროული პროცესია. გადაწყვეტილებები მიიღება ელექტრონულად და ავტომატურად აისახება (ქვეყნდება) პორტალზე.
		№9	1.2. (20 ¹ .(10 და 11))	10. ელექტრონული პორტალი არის სააგენტოს ერთიანი ელექტრონული პლატფორმა, სადაც ქვეყნდება რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილებები, სარეგისტრაციო წარმოებასთან დაკავშირებული დოკუმენტები, სამეწარმეო საზოგადოების კრების მოწვევისა და მეწარმის მიერ, კანონმდებლობის შესაბამისად, გამოქვეყნებას დაქვემდებარებული სხვა ინფორმაცია/დოკუმენტაცია. 11. რეგისტრაციის პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ელექტრონული ასლები განთავსებულია სააგენტოს ელექტრონულ პორტალზე და საფასურის გადახდის გარეშე ხელმისაწვდომია		

				ნებისმიერი პირისთვის.		
--	--	--	--	-----------------------	--	--

		№10	2	სააგენტოს მიერ გაწეული სარეგისტრაციო მომსახურებისათვის დაწესებულია შემდეგი ვადები და განსაზღვრულია შემდეგი საფასურისგანაკვეთები: ა) უძრავ ნივთზე უფლების, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულების, მათში ცვლილების და მათი შეწყვეტის, სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრის ცვლილებების, ასევე მიწის მიზნობრივი დანიშნულების და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კატეგორიის შეცვლის რეგისტრაცია – 4 სამუშაო დღის ვადაში – 50 ლარი, გარდა ამ დანართის მე-6 მუხლის „ჟ“ და „ს“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა; ბ) აღნაგობის უფლებაზე იპოთეკის რეგისტრაცია – 4 სამუშაო დღის ვადაში – 50 ლარი; გ) მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე, საკუთრების უფლების აღიარებით, საკუთრების უფლების რეგისტრაცია – 4 სამუშაო დღის ვადაში, ხოლო მარეგისტრირებელი ორგანოს დასაბუთებული გადაწყვეტილების შემთხვევაში – 30 კალენდარული დღის ვადაში – 300 ლარი; დ) (ამოღებულია – 28.07.2016, №356); ე) (ამოღებულია – 12.07.2012, №251); ვ) „ქონების ლეგალიზების შესახებ“ საქართველოს კანონით სააგენტოს კომპეტენციისთვის მიკუთვნებული უძრავი ქონების ლეგალიზების რეგისტრაცია – 14 სამუშაო დღის ვადაში – 500 ლარი; ზ) იპოთეკის მოწმობის გაცემის, მასში ცვლილების, მასზე ნებისმიერი სამართლებრივი ხასიათის შენიშვნის რეგისტრაცია – 3 სამუშაო დღის ვადაში – 50 ლარი; თ) ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის და მათში ცვლილების რეგისტრაცია – 3 სამუშაო დღის ვადაში – 20 ლარი; ი) საბანკო გარანტიის წარმოშობის და მასში ცვლილების რეგისტრაცია – დაუყოვნებლივ – 10 ლარი; კ) მოძრავ ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლების, მათში ცვლილების და მათი შეწყვეტის რეგისტრაცია – დაუყოვნებლივ – 30 ლარი; ლ) სარეგისტრაციოდ წარდგენილ გარიგებაზე მხარეთა ხელმოწერების დადასტურება – დაუყოვნებლივ – 5 ლარი; მ) მეწარმე სუბიექტის, გარდა ინდივიდუალური მეწარმისა, და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაცია, რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებებისა და მათი შეწყვეტის რეგისტრაცია – 1 სამუშაო დღის ვადაში – 100 ლარი; ნ) ინდივიდუალური მეწარმის რეგისტრაცია, რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებებისა და მათი შეწყვეტის რეგისტრაცია, გარდა ამ დანართის მე-6 მუხლის „ი“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა, – 1 სამუშაო დღის ვადაში – 20 ლარი; ო) სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელ საწარმოდ ან/და დისტრიბუტორად რეგისტრაცია, რომელიც ასევე მოიცავს იმ საწარმოდ რეგისტრაციას, რომლის საქმიანობაც დაკავშირებულია		
--	--	-----	---	---	--	--

		№10	4	სურსათის/ცხოველის საკვების გადამუშავებასთან, რელიზაციასთან, საკვებწარმოებასთან, აგრეთვე რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებისა და მათი შეწყვეტის რეგისტრაცია – 1 სამუშაო დღის ვადაში – 10 ლარი; პ) მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრირებულ მონაცემებში სუბიექტის ელექტრონული ფოსტის მისამართის, ტელეფონის ნომრისა და იურიდიული მისამართისაგან განსხვავებული მისამართის რეგისტრაციის, ასევე რეგისტრირებული მონაცემის ცვლილების ან შეწყვეტის რეგისტრაცია – 1 სამუშაო დღის ვადაში – 20 ლარი; ჟ) თუ მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციას დაქვემდებარებული რამდენიმე მონაცემის რეგისტრაცია ერთდროულად არის მოთხოვნილი და ამ დადგენილებით მომსახურებებისთვის დადგენილია განსხვავებული ვადები და საფასური, რეგისტრაცია ხორციელდება მოთხოვნილი მომსახურებებისთვის დადგენილ მაქსიმალურ ვადაში და საფასურით. 1. სააგენტო დაჩქარებულ მომსახურებას ახორციელებს შემდეგ ვადებში და შემდეგი საფასურით: ა) უძრავ ნივთზე უფლების, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულების, მათში ცვლილების და მათი შეწყვეტის, ტყის ფონდის საზღვრის ცვლილებების, ასევე მიწის მიზნობრივი დანიშნულების და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კატეგორიის შეცვლის რეგისტრაცია – განცხადების შეტანის დღეს – 200 ლარი, ერთ სამუშაო დღეში – 150 ლარი; ბ) აღნაგობის უფლებაზე იპოთეკის რეგისტრაცია – განცხადების შეტანის დღეს – 200 ლარი, ერთ სამუშაო დღეში – 150 ლარი; გ) მეწარმე სუბიექტის, გარდა ინდივიდუალური მეწარმისა, და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაცია, რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებებისა და მათი შეწყვეტის რეგისტრაცია – განცხადების შეტანის დღეს – 200 ლარი; დ) ინდივიდუალური მეწარმის რეგისტრაცია, რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებებისა და მათი შეწყვეტის რეგისტრაცია – განცხადების შეტანის დღეს – 50 ლარი; ე) საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მომზადება – განცხადების შეტანის დღეს 50 ლარი, ხოლო თუ მოთხოვნა განხორციელდა ელექტრონულად, ინტერნეტის საშუალებით – განცხადების შეტანის დღეს – 40 ლარი; ვ) მოთხოვნის მომენტისათვის ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლების, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულების, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის ან/და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის შესახებ საჯარო რეესტრში დაცულ მონაცემებზე ინფორმაციის მომზადება, აგრეთვე მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ინფორმაციის მომზადება, ასევე მიწის მიზნობრივი დანიშნულების და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კატეგორიის შესახებ სააგენტოში დაცული ინფორმაციის მომზადება – განცხადების შეტანის დღეს – 30 ლარი, ერთ სამუშაო დღეში – 20 ლარი;	
--	--	-----	---	---	--

				ზ) ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივიდან ცნობა-დახასიათების მომზადება – განცხადების შეტანის დღეს – 20 ლარი, ერთ სამუშაო დღეში – 15 ლარი; თ) ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივიდან საინვენტარიზაციო გეგმის მომზადება – განცხადების შეტანის დღეს – 20 ლარი, ერთ სამუშაო დღეში – 15 ლარი; ი) საკადასტრო გეგმის მომზადება – განცხადების შეტანის დღეს – 20 ლარი; კ) არქივში დაცული დოკუმენტის ასლის მომზადება – განცხადების შეტანის დღეს – ამ დანართის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ საფასურს დამატებული 5 ლარი; ლ) ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივიდან უძრავ ნივთზე უფლებრივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მომზადება – განცხადების შეტანის დღეს – 30 ლარი, ერთ სამუშაო დღეში – 20 ლარი; მ) რეგისტრირებულ მონაცემებში უფლების სუბიექტისა და ობიექტის საიდენტიფიკაციო მონაცემების ცვლილების რეგისტრაცია – განცხადების შეტანის დღეს – 50 ლარი, ერთ სამუშაო დღეში – 30 ლარი; მ¹) მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრირებული უფლების სუბიექტისა და ობიექტის საიდენტიფიკაციო მონაცემების ცვლილების რეგისტრაცია განცხადების შეტანის დღეს – 50 ლარი; ნ) მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრირებულ მონაცემებში სუბიექტის ელექტრონული ფოსტის მისამართის, ტელეფონის ნომრისა და იურიდიული მისამართისაგან განსხვავებული მისამართის რეგისტრაციის, ასევე რეგისტრირებული მონაცემის ცვლილების ან შეწყვეტის რეგისტრაცია – განცხადების შეტანის დღეს – 50 ლარი. 2. ამ მუხლით განსაზღვრული საფასური და ვადები არ ვრცელდება სააგენტოს მიერ ავტორიზებული პირების მეშვეობით და საჯარო დაწესებულების განცხადების საფუძველზე განხორციელებულ მომსახურებაზე. 3. სააგენტომ ავტორიზებული პირების მეშვეობით და საჯარო დაწესებულების განცხადების საფუძველზე მომსახურება შეიძლება განახორციელოს ამ დანართის მე-2 და მე-3 მუხლებით განსაზღვრულ ვადებში ნებისმიერ დროს, მათ შორის, განცხადების შეტანის დღეს.		
2a.2	პირველი პუნქტი არ უნდა გავრცელდეს მე-2 მუხლის (f) პუნქტში მითითებულ სააღრიცხვო დოკუმენტაციაზე.	№1	13.1	სადამფუძნებლო შეთანხმების, მათ შორის წესდების ამ კანონის მე-6 და მე-7 მუხლებით გათვალისწინებული მონაცემების ცვლილება უნდა დარეგისტრირდეს რეესტრში.	სშ	ფინანსური ანგარიშგებების წარდგენას და გამოქვეყნებას აწესრიგებს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონი. დირექტივის 2(f) მუხლით განსაზღვრული დოკუმენტების

						გამოქვეყნება არ ხდება საჯარო რეესტრში.
3.1	თითოეულ წევრ სახელმწიფოში, მასში დარეგისტრირებული თითოეული კომპანიისთვის, უნდა გაიხსნას საქმე ცენტრალურ, კომერციულ ან კომპანიათა რეესტრში. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ კომპანიებს გააჩნდეთ ინდივიდუალური მაიდენტიფიცირებელი, რაც შესაძლებელს გახდის მათ ცალსახაიდენტიფიცირებას რეესტრებს შორის კომუნიკაციის მეშვეობით, ცენტრალურ, კომერციულ და კომპანიათა რეესტრების ურთიერთკავშირის სისტემის საშუალებით, რომელიც ჩამოყალიბებულია მე-4(a) მე-2 პუნქტის შესაბამისად („რეესტრების ურთიერთკავშირის სისტემა“). ეს ინდივიდუალური მაიდენტიფიცირებელი, სულ მცირე, უნდა მოიცავდეს ისეთ ელემენტებს, რომლებიც შესაძლებელს გახდის წევრი სახელმწიფოს რეესტრის, დაფუძნების ადგილობრივი რეესტრის და ამ რეესტრში კომპანიის ნომრის იდენტიფიცირებას, და საჭიროების შემთხვევაში, მახასიათებლებს, არასწორი იდენტიფიცირების თავიდან ასაცილებლად.	№3 №3 №3 №9	3.4. 4.1 4.6 8.1. 1.2. (20¹.1 და 3)	საჯარო რეესტრის წარმოებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნით სააგენტო იყენებს პროგრამულ უზრუნველყოფას და მართვის ავტომატურ საშუალებებს. საჯარო რეესტრი არის უძრავ ნივთებზე უფლებათა, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის, საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის, მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების, სამისამართო და ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრების ერთობლიობა. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრი არის მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული სავალდებულო სარეგისტრაციო მონაცემების, მათში ცვლილებისა და მათი შეწყვეტის შესახებ მონაცემთა ერთობლიობა. სარეგისტრაციო წარმოების დაწყების საფუძველია განცხადება ან უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. 1. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრირდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული სუბიექტების წარმოშობის, მათში ცვლილებისა და მათი შეწყვეტის, ასევე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და კომანდიტური საზოგადოების პარტნიორთა წილებზე საკუთრების უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებული ვალდებულებების, ასევე წარმოშობის, მათში ცვლილებისა და მათი შეწყვეტის შესახებ მონაცემები. 3. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში სუბიექტის რეგისტრაციის საფუძველები და რეესტრის წარმოების წესი განისაზღვრება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით. რეგისტრაციის დამატებითი პირობები განისაზღვრება „მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეგისტრაციის შესახებ“ ინსტრუქციით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს იუსტიციის მინისტრი.	სშ	

		№4	3. „ვ“	ინსტრუქციის მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა: საიდენტიფიკაციო ნომერი – მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრაციას დაქვემდებარებულ პირთათვის ამ ინსტრუქციითა და კანონმდებლობით დადგენილი წესით მინიჭებული უნიკალური ნომერი;		
		№4	12	1. საიდენტიფიკაციო ნომერი არის უნიკალური კოდი, რომელიც ენიჭება სუბიექტს რეგისტრაციასთან ერთად. 2. საიდენტიფიკაციო ნომერს წარმოადგენს: ა) ყველა სარეგისტრაციო სუბიექტისათვის, გარდა ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შემთხვევებისა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მინიჭებული ცხრანიშნა ნომერი; ბ) ინდივიდუალური მეწარმისთვის – საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მინიჭებული პირადი საიდენტიფიკაციო ნომერი. 3. საიდენტიფიკაციო ნომერი უცვლელია და იგი უქმდება სუბიექტის რეგისტრაციის გაუქმებასთან ერთად.		
3.2	ამ მუხლის მიზნებისთვის, „ელექტრონული საშუალებებით“ ნიშნავს, რომ ინფორმაცია თავდაპირველად იგზავნება და მიდის მისი დანიშნულების ადგილზე, მონაცემთა დამუშავებისა (ციფრული კომპრესიის ჩათვით) და შენახვისათვის განკუთვნილი ელექტრონული მოწყობილობის საშუალებით და სრულად იგზავნება, გადაიცემა და მიდის ელექტროგაყვანილობის, რადიო, ოპტიკური ან სხვა ელექტრომაგნიტური საშუალებებით, წვერი სახელმწიფოების მიერ განსაზღვრული წესით.	№3	3.4	საჯარო რეესტრის წარმოებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნით სააგენტო იყენებს პროგრამულ უზრუნველყოფას და მართვის ავტომატურ საშუალებებს.	სშ	
		№3	3.9	მართვის ავტომატური საშუალებების გამოყენების წესი და პირობები, აგრეთვე დოკუმენტის დამოწმების წესი და პირობები განისაზღვრება ინსტრუქციით.		
3.3.	ყველა დოკუმენტი და მონაცემი, რომელიც უნდა გასაჯაროვდეს მე-2 მუხლის თანახმად, უნდა ინახებოდეს საქმეში ან შეტანილი იქნეს რეესტრში; რეესტრის ჩანაწერთა საგანი ყველა შემთხვევაში უნდა აისახოს საქმეში. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ კომპანიებს, ასევე სხვა პირებს და ორგანოებს, რომლებსაც მოეთხოვებათ გადაწყვეტილებების მიღება ან ეხმარებიან გადაწყვეტილებების მიღებაში, საშუალება ჰქონდეთ, ელექტრონული საშუალებებით წარადგინონ ყველა დოკუმენტი და მონაცემი, რომელიც უნდა გასაჯაროვდეს მე-2 მუხლის თანახმად. გარდა ამისა, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ ყველა ან გარკვეული კატეგორიის კომპანიებს მოსთხოვონ ყველა ან გარკვეული ტიპის ასეთი დოკუმენტებისა და მონაცემების წარდგენა ელექტრონული საშუალებებით.	№3	4.6.	მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრი არის მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული სავალდებულო სარეგისტრაციო მონაცემების, მათში ცვლილებისა და მათი შეწყვეტის შესახებ მონაცემთა ერთობლიობა.	სშ	
		№9	1.2. (20 ¹ .1)	მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრირდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული სუბიექტების წარმოშობის, მათში ცვლილებისა და მათი შეწყვეტის, ასევე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და კომანდიტური საზოგადოების პარტნიორთა წილებზე საკუთრების უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებული ვალდებულებების, ასევე წარმოშობის, მათში ცვლილებისა და მათი შეწყვეტის შესახებ მონაცემები.		

	მე-2 მუხლში მითითებული ყველა დოკუმენტი და მონაცემი, რომელიც შენახულია ბეჭდური ან ელექტრონული საშუალებებით, უნდა ინახებოდეს საქმეში ან შეყვანილი იქნეს რეესტრში, ელექტრონული სახით. ამ მიზნით, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ყველა ის დოკუმენტი და მონაცემი, რომელიც წარდგენილია ბეჭდური სახით, რეესტრში გადაყვანილ იქნეს ელექტრონულ ფორმაში. მე-2 მუხლში მითითებული დოკუმენტები და მონაცემები, რომლებიც წარდგენილია ბეჭდური საშუალებებით 2006 წლის 31 დეკემბრამდე, არ არის სავალდებულო რეესტრში ავტომატურად გადაყვანილ იქნეს ელექტრონულ ფორმაში. ამის მიუხედავად, წევრმა სახელმწიფოებმა მაინც უნდა უზრუნველყონ რეესტრში მათი ელექტრონულ ფორმაში გადაყვანა, ელექტრონული საშუალებებით გასაჯაროების მოთხოვნის მიღებისთანავე, წარდგენილი მე-4 პუნქტის ასამოქმედებლად მიღებული სათანადო ზომების შესაბამისად.	№3 №5 №5 №3 №1	7.3 3.6 4.2 3.4 14.3	სააგენტო უფლებამოსილია ნებისმიერი ინფორმაცია ან/და დოკუმენტი მიიღოს, გამოსცეს ან გასცეს მართვის ერთიანი ავტომატური საშუალებების გამოყენებით. აღნიშნულ შემთხვევაში განცხადება და თანდართული მონაცემები შეიძლება წარდგენილი იქნეს, ასევე დოკუმენტი შეიძლება გაიცეს ნებისმიერი ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურის ან ავტორიზებული პირის მეშვეობით. დაუშვებელია ადმინისტრაციული წარმოებისას და სასამართლოში სამართალწარმოებისას ელექტრონულ დოკუმენტზე უარის თქმა მხოლოდ იმ მოტივით, რომ ის ელექტრონული ფორმითაა წარდგენილი, თუმცა ეს არ გამორიცხავს ელექტრონული დოკუმენტის შესაბამის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმას იმ შემთხვევაში, თუ ის აღნიშნული წარმოებისათვის დადგენილ წესებს არ აკმაყოფილებს. ელექტრონული დოკუმენტის გამოყენება შესაძლებელია ყველა შემთხვევაში, როდესაც მოითხოვება წერილობითი ფორმის მატერიალური დოკუმენტი, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. საჯარო რეესტრის წარმოებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნით სააგენტო იყენებს პროგრამულ უზრუნველყოფას და მართვის ავტომატურ საშუალებებს. რეგისტრაციის პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ელექტრონული ასლები განთავსებულია მარეგისტრირებელი ორგანოს ელექტრონულ პორტალზე და საფასურის გადახდის გარეშე ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისთვის. რეგისტრაციის მოთხოვნა ითვლება შესაბამისი პირის მიერ თანხმობად პერსონალური მონაცემების ამ მუხლით განსაზღვრულ დამუშავებაზე.		
3.4	მე-2 მუხლში მითითებული დოკუმენტები ან მონაცემები მთლიანი ან ნაწილობრივი ასლის სახით ხელმისაწვდომი უნდა იყოს განცხადების საფუძველზე. განცხადებები უნდა წარედგინოს რეესტრს წერილობითი ან ელექტრონული საშუალებით, განმცხადებლის სურვილისამებრ.	№1	14 (1-3)	1. რეესტრში რეგისტრირებული მონაცემები საჯაროა. ნებისმიერ პირს აქვს უფლება გაეცნოს რეესტრის მონაცემებს და მარეგისტრირებელი ორგანოსგან მიიღოს ამონაწერი.	სშ	

	პირველ აზრად მითითებული ასლები რეესტრში ხელმისაწვდომი უნდა იყოს ბეჭდური ან ელექტრონული საშუალებებით, განმცხადებლის სურვილისამებრ. ეს ეხება ყველა უკვე წარდგენილ დოკუმენტსა და მონაცემს. თუმცა, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება, რომ ყველა ან გარკვეული ტიპის ბეჭდური დოკუმენტი და მონაცემი, რომელიც წარდგენილი იქნა არაუგვიანეს 2006 წლის 31 დეკემბრისა, არ იყოს ხელმისაწვდომი რეესტრიდან ელექტრონული საშუალებებით, თუ გარკვეული პერიოდი გავიდა წარდგენის თარიღიდან რეესტრში განცხადების წარდგენის თარიღამდე. ეს გარკვეული პერიოდი არ შეიძლება იყოს 10 წელზე ნაკლები.	№9	1.2.(20 1.(10 და 11))	2. ამონაწერი გაცივმა საქართველოს მთავრობის დადგენილებით ამონაწერის მომზადებისთვის დადგენილ ვადაში და განსაზღვრული საფასურის გადახდის შემდეგ. ამონაწერი მზადდება რეესტრის, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის, საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის, მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა და მოვალეთა რეესტრების მონაცემთა საფუძველზე დაასახავს რეგისტრირებული სუბიექტის შესახებ ძალაში მყოფ მონაცემებს ამონაწერის მომზადების მომენტისთვის. 3. რეგისტრაციის პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ელექტრონული ასლები განთავსებულია მარეგისტრირებელი ორგანოს ელექტრონულ პორტალზე და საფასურის გადახდის გარეშე ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისთვის. რეგისტრაციის მოთხოვნა ითვლება შესაბამისი პირის მიერ თანხმობად პერსონალური მონაცემების ამ მუხლით განსაზღვრულ დამუშავებაზე. 10. ელექტრონული პორტალი არის სააგენტოს ერთიანი ელექტრონული პლატფორმა, სადაც ქვეყნდება რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილებები, სარეგისტრაციო წარმოებასთან დაკავშირებული დოკუმენტები, სამეწარმეო საზოგადოების კრების მოწვევისა და მეწარმის მიერ, კანონმდებლობის შესაბამისად, გამოქვეყნებას დაქვემდებარებული სხვა ინფორმაცია/დოკუმენტაცია. 11. რეგისტრაციის პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ელექტრონული ასლები განთავსებულია სააგენტოს ელექტრონულ პორტალზე და საფასურის გადახდის გარეშე ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისთვის. საჯარო რეესტრის წარმოებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნით სააგენტო იყენებს პროგრამულ უზრუნველყოფას და მართვის ავტომატურ საშუალებებს. სააგენტო უფლებამოსილია ელექტრონული ასლის სახით შეინახოს და გასცეს თავის მიერ შექმნილი ან თავისთან დაცული ნებისმიერი დოკუმენტი. სააგენტო უფლებამოსილია ნებისმიერი ინფორმაცია ან/და დოკუმენტი მიიღოს, გამოსცეს ან გასცეს მართვის ერთიანი ავტომატური საშუალებების გამოყენებით. აღნიშნულ შემთხვევაში განცხადება და თანდართული მონაცემები შეიძლება წარდგენილი იქნეს, ასევე დოკუმენტი შეიძლება გაიცეს ნებისმიერი ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურის ან ავტორიზებული პირის მეშვეობით.		
		№3	3.4			
		№3	7.1			
		№3	7.3			

მე-2 მუხლში მითითებული დოკუმენტების ან მონაცემების მთლიანი ან ნაწილობრივი ასლების მოპოვების ფასი, ბეჭდური ან ელექტრონული საშუალებებით, არ უნდა აღემატებოდეს მათადმინისტრაციულ ხარჯს. მიწოდებული ბეჭდური ასლების დედანთან სიზუსტე უნდა დამოწმდეს როგორც „ზუსტი ასლები“, თუ განმცხადებელი უარს არ ამბობს ასეთ დამოწმებაზე. მიწოდებული ელექტრონული ასლების დედანთან სიზუსტე არ უნდა დამოწმდეს როგორც „ზუსტი ასლები“, თუ განმცხადებელი პირდაპირ არ ითხოვს ასეთ დამოწმებას.	№6	5.11	სააგენტო ვალდებულია, მოთხოვნის შემთხვევაში, უზრუნველყოს მასთან დაცული დოკუმენტაციის ელექტრონული ასლის გაცნობა.		
	№7	38	საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის ასლების ხელმისაწვდომობა. დაუშვებელია დაწესდეს რაიმე სახის საფასური საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის, გარდა ასლის გადაღებისათვის აუცილებელი თანხის ანაზღაურებისა.		
	№3	6.4.	მარეგისტრირებელ ორგანოში დაცული ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გაცნობის, მათი დედნებისა თუ ასლების გამოთხოვის წესი და პირობები განისაზღვრება ინსტრუქციით.		
	№6	5 (3-9)	3. სააგენტო უფლებამოსილია ელექტრონული ასლის სახით შეინახოს და გასცეს თავის მიერ შექმნილი ან თავისთან დაცული ნებისმიერი მატერიალური დოკუმენტი. 4. სააგენტო უფლებამოსილია დაამოწმოს თავის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტების და სხვა დოკუმენტების, ასევე, თავისთან დაცული სარეგისტრაციო და სხვა დოკუმენტაციის ასლები, თუ დოკუმენტის დედნისა და ასლის შინაარსი შეესაბამება ერთმანეთს. 5. სააგენტოს მიერ დამოწმებული დოკუმენტის ასლს აქვს ოფიციალური ძალა და ადასტურებს დედანთან იგივეობას. 6. ელექტრონული სახით დოკუმენტი გაიცემა სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდის – www.napr.gov.ge შესაბამისი ბმულების მეშვეობით. 7. სააგენტოს მიერ გამოცემული ელექტრონული დოკუმენტის ყველა ეგზემპლარი ორიგინალია. ელექტრონულ დოკუმენტს არ შეიძლება ჰქონდეს ელექტრონული ასლი. 8. სააგენტოს მიერ შექმნილი ან/და სააგენტოში დაცული ელექტრონული დოკუმენტის ამონაბეჭდი არის ელექტრონული დოკუმენტის ასლი და მას ელექტრონული დოკუმენტის თანაბარი იურიდიული ძალა აქვს, თუ ის ხელმოწერისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ არის დამოწმებული ან/და დადასტურებული. 9. სააგენტოს მიერ შექმნილი ან/და სააგენტოში დაცული მატერიალური დოკუმენტის ელექტრონულ ასლს ორიგინალის თანაბარი იურიდიული ძალა აქვს, თუ ის ხელმოწერისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპით არის დამოწმებული ან/და დადასტურებული.		
	№7	20 (4 – 6)	4. დოკუმენტის დამოწმების დროს შედგება დამოწმების ფურცელი, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს: ა) დოკუმენტის ზუსტ დასახელებას;		

	წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ საჭირო ზომები, რათა უზრუნველყონ ელექტრონული ასლების წარმოშობის ავთენტურობა და მათი შინაარსის ერთიანობა, მინიმუმ განვითარებული ელექტრონული ხელმოწერის საშუალებით, დირექტივის 1999/93/EC მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მნიშვნელობის ფარგლებში.	№5	2 („ლ“ – „ო“)	ბ) ასლის დედანთან შესაბამისობის დადასტურებას; გ) დამოწმების დროსა და ადგილს; დ) პასუხისმგებელი თანამდებობის პირის ხელმოწერას, სამსახურებრივ ბეჭედს. 5. დამოწმებული ასლის ყოველ გვერდს უნდა დაესვას სამსახურებრივი ბეჭედი და ჰქონდეს პასუხისმგებელი თანამდებობის პირის ხელმოწერა. 6. ადმინისტრაციული აქტის ან სხვა დოკუმენტის დამოწმება დადგენილი წესით რეგისტრირებული უნდა იქნეს ადმინისტრაციულ ორგანოში. ლ) განვითარებული ელექტრონული ხელმოწერა – ელექტრონული ხელმოწერა, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს: ლ.ა) იგი მხოლოდ ხელმოწერაზეა დაკავშირებული; ლ.ბ) მისი მეშვეობით ხელმოწერის დადგენა შესაძლებელია; ლ.გ) იგი შექმნილია ელექტრონული ხელმოწერის შექმნის იმ მონაცემების საშუალებით, რომელთა გამოყენებაც ხელმოწერის, მტკიცე რწმუნებით, ერთპიროვნული კონტროლით შეუძლია; ლ.დ) იგი ხელმოწერილ მონაცემებთან ისეა დაკავშირებული, რომ მათი შემდგომი ცვლილების აღმოჩენის შესაძლებლობას იძლევა; მ) კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა – განვითარებული ელექტრონული ხელმოწერა, რომელიც კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შექმნის საშუალების გამოყენებით, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის სერტიფიკატის საფუძველზეა შესრულებული; ნ) განვითარებული ელექტრონული შტამპი – ელექტრონული შტამპი, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს: ნ.ა) იგი მხოლოდ შტამპის დამსმელთანაა დაკავშირებული; ნ.ბ) მისი მეშვეობით შტამპის დამსმელის დადგენა შესაძლებელია; ნ.გ) იგი შექმნილია ელექტრონული შტამპის შექმნის იმ მონაცემების საშუალებით, რომელთა გამოყენებაც შტამპის დამსმელს, მტკიცე რწმუნებით, საკუთარი კონტროლით შეუძლია; ნ.დ) იგი შტამპდასმულ მონაცემებთან ისეა დაკავშირებული, რომ მათი შემდგომი ცვლილების აღმოჩენის შესაძლებლობას იძლევა; ო) კვალიფიციური ელექტრონული შტამპი – განვითარებული ელექტრონული შტამპი, რომელიც კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალების გამოყენებით, კვალიფიციური ელექტრონული შტამპის სერტიფიკატის საფუძველზეა შესრულებული; კვალიფიციური ელექტრონული შტამპი იძლევა ელექტრონული დოკუმენტის მთლიანობისა და წარმომავლობის სისწორის დადასტურების შესაძლებლობას – ელექტრონული დოკუმენტის მთლიანობა და წარმომავლობა უტყუარად ითვლება, ვიდრე საწინააღმდეგო არ დამტკიცდება.		
		№5	3.2			
		№5	3.4			

				ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ელექტრონულ დოკუმენტზე შეასრულოს კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა ან/და დასვას კვალიფიციური ელექტრონული შტამპი. საკმარისია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ელექტრონულ დოკუმენტზე კვალიფიციური ელექტრონული შტამპის დასმა.		
3.5	მე-3 პუნქტში მითითებული დოკუმენტებისა და მონაცემების გასაჯაროებუნდა განახორციელონ წევრმა სახელმწიფოებმა, ამ მიზნისთვის განკუთვნილ ეროვნულ გაზეთში, სრული ტექსტის ან ნაწილობრივი ტექსტის გამოქვეყნებით, ან იმ დოკუმენტის მითითებით, რომელიც შეტანილია საქმეში ან შეტანილია რეესტრში. ამ მიზნისთვის განკუთვნილი ეროვნული გაზეთი შეიძლება ინახებოდეს ელექტრონული სახით. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ ეროვნული გაზეთში გამოქვეყნება ჩაანაცვლონ თანაბრად ეფექტური საშუალებით, რომელიც სულ მცირე ისე უზრუნველყოფს სისტემის გამოყენებას, რომ გასაჯაროებული ინფორმაცია ქრონოლოგიურად იყოს ხელმისაწვდომი ცენტრალური ელექტრონული პლატფორმიდან.	№1 №1 №9	14.1 14.3 1.2. (20¹. (10 და 11))	რეესტრში რეგისტრირებული მონაცემები საჯაროა. ნებისმიერ პირს აქვს უფლება გაეცნოს რეესტრის მონაცემებს და მარეგისტრირებული ორგანოსგან მიიღოს ამონაწერი. რეგისტრაციის პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ელექტრონული ასლები განთავსებულია მარეგისტრირებული ორგანოს ელექტრონულ პორტალზე და საფასურის გადახდის გარეშე ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისთვის. რეგისტრაციის მოთხოვნა ითვლება შესაბამისი პირის მიერ თანხმობად პერსონალური მონაცემების ამ მუხლით განსაზღვრულ დამუშავებაზე. 10. ელექტრონული პორტალი არის სააგენტოს ერთიანი ელექტრონული პლატფორმა, სადაც ქვეყნდება რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილებები, სარეგისტრაციო წარმოებასთან დაკავშირებული დოკუმენტები, სამეწარმეო საზოგადოების კრების მოწვევისა და მეწარმის მიერ, კანონმდებლობის შესაბამისად, გამოქვეყნებას დაქვემდებარებული სხვა ინფორმაცია/დოკუმენტაცია. 11. რეგისტრაციის პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ელექტრონული ასლები განთავსებულია სააგენტოს ელექტრონულ პორტალზე და საფასურის გადახდის გარეშე ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისთვის.	სშ	
3.6	კომპანიამ შეიძლება გამოიყენოს დოკუმენტები და მონაცემები მესამე მხარესთან მიმართებით, მხოლოდ მათი მე-5 პუნქტის შესაბამისად გასაჯაროების შემდეგ, თუ კომპანია არ დაამტკიცებს, რომ მესამე მხარისთვის ცნობილი იყო მათ შესახებ. თუმცა, იმ გარიგებების გათვალისწინებით, რომლებსაც ადგილი ჰქონდა გასაჯაროებიდან მეთექვსმეტე დღემდე, დოკუმენტები და მონაცემები არ უნდა იქნეს გამოყენებული მესამე მხარეებთან მიმართებით, რომლებიც ადასტურებენ, რომ მათთვის შეუძლებელი იყო სცოდნოდათ მათ შესახებ.	№1 №1	15.2 15.3	მესამე პირებთან ურთიერთობაში მეწარმე შეიძლება დაეყრდნოს რეგისტრირებულ მონაცემებს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ისინი გამოქვეყნდება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ის დაამტკიცებს, რომ მესამე პირისთვის შესაბამისი ფაქტი ან დოკუმენტი ცნობილი იყო. იმ ურთიერთობების ფარგლებში, რომლებიც წარმოიშვა რეგისტრაციისა და გამოქვეყნებიდან 15 დღის ვადაში, დაუშვებელია რეგისტრირებულ და გამოქვეყნებულ მონაცემებზე დაყრდნობა მესამე პირის მიმართ, თუ ეს უკანასკნელი დაამტკიცებს, რომ მან აღნიშნული ფაქტების და დოკუმენტების შესახებ არ იცოდა და არც შეიძლებოდა, რომ სცოდნოდა.	სშ	
3.7	წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ საჭირო ზომები, რათა თავიდან აიცილონ განსხვავება მე-5 პუნქტის შესაბამისად გასაჯაროებულ შინაარსსა და რეესტრის ან საქმის შინაარსს შორის.	№1	15.4	მესამე პირებს უფლება აქვთ დაეყრდნონ მონაცემებს, რომელთა რეგისტრაციისა და გამოქვეყნების პროცედურა ჯერ არ დასრულებულა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს მონაცემები ძალაში შედის მხოლოდ მათი რეგისტრაციისა და გამოქვეყნების შემდგომ.	სშ	

	თუმცა, განსხვავების შემთხვევაში, მე-5 პუნქტის შესაბამისად გასაჯაროებული ტექსტი არ შეიძლება იქნეს გამოყენებული მესამე მხარეებთან მიმართებით; მიუხედავად ამისა, ასეთ მესამე მხარეებს შეუძლიათ დაეყრდნონ მას, თუ კომპანია არ დაამტკიცებს, რომ მესამე მხარეებმა იცოდნენ საქმეში შეტანილი ან რეესტრში შეტანილი ტექსტების შესახებ. გარდა ამისა, მესამე მხარეს შეუძლია ყოველთვის დაეყრდნოს ნებისმიერ დოკუმენტსა და მონაცემს, რომელთან მიმართებით გასაჯაროების ფორმალური მხარე არ დასრულებულა, თუ მათი არგასაჯაროება ხელს არ უშლის მათ მოქმედებას.	№1	15.5	სამეწარმეო საზოგადოების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის დანიშვნის და მის შესახებ მონაცემთა სათანადო წესით რეგისტრაციისა და გამოქვეყნების შემთხვევაში, დაუშვებელია მესამე პირებთან ამ პირის დანიშვნის ხარვეზზე დაყრდნობა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ სამეწარმეო საზოგადოება დაამტკიცებს, რომ მესამე პირი იცნობდა ამ ხარვეზს.		
3a	1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ განახლებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა იმ ეროვნული კანონმდებლობის დებულებების განმარტებასთან ერთად, რომელთა მიხედვითაც მესამე მხარეს შეუძლია დაეყრდნოს იმ მონაცემებსა და დოკუმენტების ყველა ტიპს, რომლებიც მოხსენიებულია მე-2 მუხლში, მე-3 მუხლის მე-5, მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად. 2. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ევროპული ელექტრონული მართლმსაჯულების პორტალზე („პორტალი“) გამოქვეყნების შესახებ ინფორმაცია პორტალის წესებისა და ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისად. 3. კომისიამ ეს ინფორმაცია უნდა გამოაქვეყნოს პორტალზე კავშირის ყველა ოფიციალურ ენაზე.				ას	ეხება წევრი სახელმწიფოების ეროვნული კანონმდებლობის განმარტების საკითხს, ასევე ეროვნულ პორტალზე, რომელიც მხოლოდ წევრი სახელმწიფოებისთვისაა ინფორმაციის განთავსებას.
3b	1. მე-2 მუხლში მოხსენიებული დოკუმენტებისა და მონაცემების ელექტრონული ასლები ასევე ხელმისაწვდომი უნდა იყოს რეესტრთა ურთიერთკავშირის სისტემის მეშვეობით. 2. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ მე-2 მუხლში მითითებული დოკუმენტებისა და მონაცემების რეესტრთა ურთიერთკავშირის სისტემაში ელექტრონული საშუალებებითა და სტანდარტული შეტყობინების ფორმატით ხელმისაწვდომობა. გარდა ამისა, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ მონაცემთა გადაგზავნის უსაფრთხოების მინიმალური სტანდარტის დაცვა. 3. კომისიამ უნდა უზრუნველყოს საძიებო მომსახურება კავშირის ყველა ოფიციალურ ენაზე წევრ სახელმწიფოებში რეგისტრირებულ კომპანიებთან მიმართებაში, რათა პორტალზე ხელმისაწვდომი გახადოს: (a) მე-2 მუხლში მითითებული დოკუმენტები და მონაცემები; (b) ასეთი მონაცემებისა და დოკუმენტების ტიპების ჩამონათვალის შემცველი განმარტებითი კომენტარები კავშირის ყველა ოფიციალურ ენაზე.				ას	მოცემული დებულება მიემართება წევრ სახელმწიფოებს, ასევე იხ.: დირექტივის 3a მუხლის კომენტარი მე-7 ველში.

3c	1. რეესტრთა ურთიერთკავშირის სისტემის მეშვეობით მე-2 მუხლში მითითებული დოკუმენტებისა და მონაცემების მოპოვების საფასური არ უნდა აღემატებოდეს მათ ადმინისტრაციულ ხარჯებს. 2. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ შემდეგი მონაცემების საფასურის გარეშე ხელმისაწვდომობა რეესტრთა ურთიერთკავშირის სისტემის მეშვეობით. (a) კომპანიის სახელწოდება და სამართლებრივი ფორმა; (b) კომპანიის იურიდიული მისამართი და ის წევრი სახელმწიფო, სადაც ის არის რეგისტრირებული; და (c) კომპანიის რეგისტრაციის ნომერი. ამ მონაცემების გარდა წევრმა სახელმწიფოებმა შესაძლოა სხვა დოკუმენტები და მონაცემებიც გახადონ ხელმისაწვდომი საფასურის გარეშე.				ას	მოცემული დებულება მიემართება წევრ სახელმწიფოებს, ასევე იხ.: დირექტივის 3a მუხლის კომენტარი მე-7 ველში.
3d	1. კომპანიის რეესტრი რეესტრთა ურთიერთკავშირის სისტემის საშუალებით, დაუყოვნებლად უზრუნველყოფს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას კომპანიის ნებისმიერი საქმიანობის შეწყვეტის ან გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყებისა და დასრულების და კომპანიის რეესტრიდან ამოშლის შესახებ. თუ ეს იწვევს იურიდიულ შედეგებს კომპანიის რეესტრის წევრ სახელმწიფოში. 2. ფილიალის რეესტრმა დაუყოვნებლად უნდა უზრუნველყოს რეესტრთა ურთიერთკავშირის სისტემის მეშვეობით პირველ პუნქტში მითითებული ინფორმაციის მიღება. 3. რეესტრისათვის პირველ და მე-2 პუნქტში მითითებული ინფორმაციის გაცვლა არის თავისუფალი გადასახადებისგან.				ას	მოცემული დებულება მიემართება წევრ სახელმწიფოებს, ასევე იხ.: დირექტივის 3a მუხლის კომენტარი მე-7 ველში.
4	1. დოკუმენტები და მონაცემები, რომლებიც უნდა გასაჯაროვდეს მე-2 მუხლის თანახმად, უნდა შედგეს და წარდგენილი იქნეს ერთ-ერთ იმ ენაზე, რომელიც ნებადართულია ენობრივი წესებით, რომლებიც გამოიყენება იმ წევრ სახელმწიფოში, რომელშიც მე-3 მუხლის პირველ პუნქტში მითითებული საქმე გაიხსნა. 2. გარდა მე-3 მუხლში მითითებული სავალდებულო გასაჯაროებისა, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა დაუშვან მე-2 მუხლში მითითებული დოკუმენტებისა და მასალების ნებაყოფლობითი გასაჯაროება, მე-3 მუხლის შესაბამისად, ევროგაერთიანების ნებისმიერ ოფიციალურ ენაზე (ენებზე). წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ განსაზღვრონ, რომ ასეთი დოკუმენტებისა და მონაცემების თარგმანი დამოწმებული იქნეს.				ას	წინამდებარე დებულება განკუთვნილია წევრი სახელმწიფოებისათვის, ასევე იხ.: დირექტივის 3a მუხლის კომენტარი მე-7 ველში.

	წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ საჭირო ზომები მესამე მხარისთვის ნებაყოფლობით გასაჯაროებული თარგმანების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. 3. გარდა მე-3 მუხლში მითითებული სავალდებულო გასაჯაროებისა და ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ნებაყოფლობითი გასაჯაროებისა, წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება დაუშვან მოხსენიებული დოკუმენტებისა და მონაცემების გასაჯაროება ნებისმიერ სხვა ენა(აზრებზე, მე-3 მუხლის შესაბამისად. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ განსაზღვრონ, რომ ასეთი დოკუმენტებისა და მონაცემების თარგმანი დამოწმებული იქნეს. 4. რეესტრის ოფიციალურ ენებზე გასაჯაროებულ დოკუმენტებსა და მონაცემებს და ნებაყოფლობით გასაჯაროებულ თარგმანს შორის შეუსაბამობის შემთხვევებში, ეს უკანასკნელი არ შეიძლება იქნეს გამოყენებული მესამე მხარესთან მიმართებით. მიუხედავად ამისა, მესამე მხარეებს შეუძლიათ დაეყრდნონ ნებაყოფლობით გასაჯაროებულ თარგმანს, თუ კომპანია ვერ დაამტკიცებს, რომ მესამე მხარეებისთვის ცნობილი იყო ის ვერსია, რომელიც წარმოადგენდა სავალდებულო გასაჯაროების საგანს.				
4a	1. უნდა შეიქმნას ევროპის ცენტრალური პლატფორმა („პლატფორმა“). 2. რეესტრთა ურთიერთკავშირის სისტემა უნდა მოიცავდეს: — წევრი სახელმწიფოების რეესტრებს, — პლატფორმას, — პორტალს, რომელიც უზრუნველყოფს ევროპის ელექტრონული წვდომის ადგილს. 3. წევრმა სახელმწიფოებმა პლატფორმის საშუალებით უნდა უზრუნველყონ მათი რეესტრების ურთიერთთანამშრომლობა რეესტრების ურთიერთკავშირის სისტემაში. 4. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ დააწესონ არჩევითი წვდომის ადგილები რეესტრთა ურთიერთკავშირის სისტემაში. ისინი ზედმეტი შეფერხების გარეშე აცნობენ კომისიას წვდომის ადგილების დაყენების და მათი ფუნქციონირების მნიშვნელოვანი ცვლილებების შესახებ. 5. რეესტრთა ურთიერთკავშირის სისტემაში ინფორმაციაზე წვდომა უზრუნველყოფილია პორტალისა და წევრი სახელმწიფოების მიერ დადგენილი არჩევითი წვდომის ადგილების მეშვეობით. 6. რეესტრთა ურთიერთკავშირის სისტემის შექმნა არ იმოქმედებს წევრ სახელმწიფოებს შორის დადებულ ისეთ ორმხრივ შეთანხმებებზე, რომელიც შეეხება კომპანიების შესახებ ინფორმაციის გაცვლას.			ას	წინამდებარე დებულება განკუთვნილია წევრი სახელმწიფოებისათვის, რადგან ეხება ევროკავშირის წევრი ქვეყნებისათვის ერთიანი პლატფორმის შექმნის საკითხს.

4b	1. კომისია იღებს გადაწყვეტილებას პლატფორმის შემუშავების ან/და მუშაობის შესახებ საკუთარი შეხედულებისამებრ ან მესამე მხარის მეშვეობით. კომისია გადაწყვეტს პლატფორმის შემუშავებას ან/და ექსპლუატაციას მესამე მხარის მეშვეობით, მესამე მხარის არჩევა და მისი შესრულება კომისიის მიერ მესამე მხარესთან დადებული ხელშეკრულების შესაბამისად ხორციელდება (EC, Euratom) 2002 წლის 25 ივნისის No 1605/2002 საბჭოს რეგულაციის ევროკავშირის საერთო ბიუჯეტისთვის გამოყენებული ფინანსური რეგულირების შესახებ დებულების შესაბამისად. 2. კომისია გადაწყვეტს პლატფორმის შემუშავებას მესამე მხარის მეშვეობით, იგი მაიმპლემენტირებელი აქტების საშუალებით, ადგენს ტექნიკურ პირობებს სახელმწიფო შესყიდვების პროცედურის და ხელშეკრულების ხანგრძლივობის მიზნებისათვის, რომელიც ფორმდება მესამე პირთან. 3. კომისია გადაწყვეტს პლატფორმის ფუნქციონირებას მესამე მხარის მეშვეობით, იგი მაიმპლემენტირებელი აქტების საშუალებით, მიიღებს დეტალურ წესებს პლატფორმის ოპერატიული მართვის შესახებ. პლატფორმის ოპერატიული მართვა უნდა მოიცავდეს: — პლატფორმის ფუნქციონირების ზედამხედველობას, — პლატფორმის გამოყენებით გავრცელებული და გაცვლილი მონაცემების უსაფრთხოებასა და დაცვას, — წევრ სახელმწიფოთა რეესტრებსა და მესამე მხარეს შორის ურთიერთობების კოორდინაციას. პლატფორმის ფუნქციონირების ზედამხედველობას ახორციელებს კომისია. 4. მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული მაიმპლემენტირებელი აქტები მიიღება 4e მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული განხილვის პროცედურის შესაბამისად.				ას	იხ.: კომენტარი დირექტვის 4a მუხლზე მე-7 ველში.
4c	მაიმპლემენტირებელი აქტების საშუალებით, კომისიამ უნდა მიიღოს შემდეგი: (a) ტექნიკური პირობები, რომლებიც განსაზღვრავენ ელექტრონული კომუნიკაციის მეთოდებს რეესტრების ურთიერთკავშირის სისტემის მიზნებისათვის; (b) საკომუნიკაციო ოქმების ტექნიკური პირობებს; (c) ტექნიკური ზომებს, რომლებიც უზრუნველყოფენ კომუნიკაციისა და ინფორმაციის განაწილების მიზნით რეესტრების ურთიერთკავშირის სისტემაში ინფორმაციული ტექნოლოგიების უსაფრთხოების მინიმალურ სტანდარტებს. (d) ტექნიკური პირობები, რომლებიც განსაზღვრავენ კომპანიის რეესტრსა და ფილიალის რეესტრს შორის ინფორმაციის გაცვლის მეთოდებს, როგორც ეს მითითებულია ამ დირექტვის 3d მუხლში და მე-11 საბჭოს				ას	წინამდებარე დებულება განკუთვნილია წევრი სახელმწიფოებისათვის, რადგან ეხება ერთიანი პლატფორმის შექმნის საკითხებთან დაკავშირებულ ღონისძიებებს.

1989 წლის 21 დეკემბრის 89/666/EEC დირექტივის 5a მუხლში, რომელიც ეხმარება ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნას წევრ სახელმწიფოში გახსნილი ფილიალების მიმართ, გარკვეული ტიპის კომპანიების მიერ, რომლებიც იმართება სხვა წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობით; (e) მონაცემების დეტალური ჩამონათვალი, რომლებიც უნდა იქნეს გადაცემული რეესტრებს შორის ინფორმაციის გაცვლის მიზნით, როგორც ეს მითითებულია ამ დირექტივის 3d მუხლში, 89/666/EC დირექტივის 5a მუხლში და ევროპარლამენტისა და საბჭოს 2005 წლის 26 ოქტომბრის 2005/56/EC შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე კომპანიების სასაზღვრო შერწყმის შესახებ დირექტივის მე-13 მუხლში; (f) ტექნიკური პირობები, რომლებიც განსაზღვრავს სტანდარტული შეტყობინების ფორმატის სტრუქტურას რეესტრებს შორის, პლატფორმასა და პორტალებზე ინფორმაციის გაცვლის მიზნით; (g) ტექნიკური პირობა, რომელიც განსაზღვრავს პლატფორმისთვის მისი ფუნქციების შესასრულებლად საჭირო მონაცემების სერიას, აგრეთვე მონაცემთა შენახვის, გამოყენებისა და დაცვის მეთოდს; (h) ტექნიკური პირობა, რომელიც განსაზღვრავს ინდივიდუალური მაიდენტიფიცირების სტრუქტურასა და გამოყენებას რეესტრებს შორის კომუნიკაციისთვის; (i) პირობა, რომელიც განსაზღვრავს რეესტრთა ურთიერთკავშირის სისტემის ფუნქციონირების ტექნიკურ მეთოდებს, ინფორმაციის გავრცელებასა და გაცვლასთან დაკავშირებით, აგრეთვე ინფორმაციული ტექნოლოგიების სერვისების განსაზღვრის პირობებს, რაც გათვალისწინებულია პლატფორმით, შეტყობინებების შესაბამის ენაზე მიწოდების უზრუნველყოფად; (j) პორტალით გათვალისწინებული სამიზნე მომსახურების შეთანხმებული კრიტერიუმები; (k) გადახდის პირობები, ხელმისაწვდომი გადახდის შესაძლებლობების გათვალისწინებით, როგორიცაა ონლაინ გადასახადები; (l) განმარტებითი ეტიკეტების დეტალები, სადაც ჩამოთვლილია დეტალები და მე-2 მუხლში მითითებული დოკუმენტები; (m) რეესტრთა ურთიერთკავშირის სისტემით გათვალისწინებული მომსახურების ხელმისაწვდომობის ტექნიკური პირობები; (n) არჩევითი წვდომის ადგილების პლატფორმასთან დაკავშირების წესი და ტექნიკური მოთხოვნები. აღნიშნული მაიმპლემენტირებელი აქტები მიიღება 4e მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული საგამოცდო პროცედურის შესაბამისად. კომისია აღნიშნულ მაიმპლემენტირებელ აქტებს მიიღებს 2015 წლის 7 ივლისამდე.					
---	--	--	--	--	--

4d	1. ამ დირექტივის შედეგად მიღებული პორტალის შექმნა და სამომავლო განვითარება, შესწორებები დაფინანსდება კავშირისბიუჯეტიდან. 2. პლატფორმის შენარჩუნება და ფუნქციონირება ფინანსდება კავშირის ბიუჯეტიდან, აგრეთვე სისტემაში წვდომის მიზნებისთვის შესაძლებელია ღირებულების თანადაფინანსება რეესტრების ურთიერთკავშირის სისტემის ინდივიდუალურ მომხმარებლებზე საფასურის დაკისრებით. ეს პუნქტი გავლენას ვერ მოახდენს ეროვნულ დონეზე დაწესებულ გადასახადებზე. 3. დელეგირებული აქტების საშუალებით და 13a მუხლის შესაბამისად, კომისიას შეუძლია მიიღოს წესები, პლატფორმის თანადაფინანსების დროს საფასურის გადახდისა და ინდივიდუალური მომხმარებლებისათვის საფასურის ოდენობის შესახებ მე-2 პუნქტის შესაბამისად. 4. მე-2 პუნქტის შესაბამისად დაკისრებული ნებისმიერი საფასური ზიანის მიყენების გარეშე არ უნდა შეეხოს გადასახადებს(ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომლებიც დაწესებულია წევრი სახელმწიფოების მიერ დოკუმენტებისა და დეტალების მისაღებად, როგორც მოცემულია 3c მუხლის პირველ პუნქტში. 5. მე-2 პუნქტის შესაბამისად დაკისრებული ნებისმიერი გადასახადი არ ეხება მე-3c მუხლის მე-2 პუნქტის (a), (b) და (c) ქვეპუნქტებში მითითებული მონაცემების მოპოვებას. 6. თითოეული წევრი სახელმწიფო საკუთარ თავზე იღებს დირექტივიდან გამომდინარე ადგილობრივი რეესტრების მოწესრიგების, აგრეთვე მათი შენარჩუნებისა და ფუნქციონირების ხარჯებს.				ას	წინამდებარე დებულება განკუთვნილია წევრი სახელმწიფოებისათვის.
4e	1. კომისიას ეხმარება კომიტეტი. ეს კომიტეტი წარმოადგენს კომიტეტს ევროპარლამენტისა და საბჭოს 2011 წლის 16 თებერვლის (EU) No182/2011 რეგულაციის მნიშვნელობის შესაბამისად, რომელიც ადგენს წევრი სახელმწიფოების მიერ კომისიის მაიმპლემენტირებელი ძალაუფლების კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებულ წესებსა და ზოგად პრინციპებს. 2. როდესაც მითითებულია ამ პუნქტზე, გამოიყენება (EU) No 182/2011 რეგულაციის მე-5 მუხლი.				ას	წინამდებარე დებულება განკუთვნილია წევრი სახელმწიფოებისათვის, რადგან ეხება კომისიისა და კომიტეტის ფუნქციონირებას განსაზღვრის საკითხს.

5	წევრმა სახელმწიფოებმა უნდა დაადგინონ, რომ წერილებსა და შეკვეთის ფორმებში, რომლებიც შედგენილია ბეჭდური ან ნებისმიერი სხვა სახით, მითითებული იქნეს შემდეგ მონაცემები: (ა) იმ რეესტრისთვის აუცილებელი საიდენტიფიკაციო ინფორმაცია, რომელშიც მე-3 მუხლში აღნიშნული საქმე ინახება, მოცემულ რეესტრში კომპანიის ნომერთანერთად; (ბ) კომპანიის სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი და საჭიროების შემთხვევაში, ის ფაქტი, რომ მიმდინარეობს კომპანიის ლიკვიდაცია. თუ ამ დოკუმენტებში მოხსენიებულია კომპანიის კაპიტალი, მითითებული უნდა იქნეს გამოწვევით გამოშვებული სააქციო და გადახდილი კაპიტალი. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა განსაზღვრონ, რომ კომპანიის ვებ-გვერდები შეიცავდნენ მინიმუმ პირველ პარაგრაფში მითითებულ მონაცემებს და თუ შესაძლებელია, გამოწვევით გამოშვებულ სააქციო და გადახდილ კაპიტალს.	№1 №1 №1 №1 №1 №1 №1	18.1. „გ“ 18.5 18.6 18.1 18.3 18.2 18.5	1. კომანდიტური საზოგადოების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და სააქციო საზოგადოების ყველა საქმიან წერილზე უნდა მიეთითოს, სულ მცირე, შემდეგი მონაცემები: გ) საიდენტიფიკაციო ნომერი. ყველა ის მონაცემი, რომელიც მიეთითება საქმიან წერილზე, ასევე უნდა მიეთითოს სამეწარმეო საზოგადოების ვებგვერდზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამ მუხლის მოთხოვნები ეხება როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით შედგენილ საქმიან წერილს. კომანდიტური საზოგადოების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და სააქციო საზოგადოების ყველა საქმიან წერილზე უნდა მიეთითოს, სულ მცირე, შემდეგი მონაცემები: ა) საფირმო სახელწოდება; ბ) იურიდიული მისამართი; გ) საიდენტიფიკაციო ნომერი. ლიკვიდაციის პროცესში მყოფმა სამეწარმეო საზოგადოებამ საქმიან წერილზე საფირმო სახელწოდება უნდა მიუთითოს დანამატით „ლიკვიდაციის პროცესში“. იგივე წესი მოქმედებს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესში მყოფ პირზეც, რომელიც ვალდებულია მიუთითოს „გადახდისუუნარობის პროცესში“, ან მიუთითოს გადახდისუუნარობის კონკრეტული რეჟიმის შესახებ - „რეაბილიტაციის რეჟიმში“ ან „გაკოტრების რეჟიმში“. თუ საქმიან წერილზე ხდება კაპიტალზე მითითება, ეს მონაცემი უნდა შეეხებოდეს განთავსებულ კაპიტალსა და მის განაღდებულ ნაწილს. ყველა ის მონაცემი, რომელიც მიეთითება საქმიან წერილზე, ასევე უნდა მიეთითოს სამეწარმეო საზოგადოების ვებგვერდზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში.	სშ	
6	თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ უნდა განსაზღვროვს, თუ რომელმა პირმა უნდა განახორციელოს გასაჯაროების ფორმალური მხარე.	№1	14.6	მეწარმის, ასევე, საზღვარგარეთ რეგისტრირებული მეწარმის ფილიალის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირები პასუხისმგებელნი არიან ამ კანონით გამოქვეყნებისთვის გათვალისწინებული მონაცემების რეესტრისთვის მიწოდებაზე. ამ ვალდებულების დარღვევისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.	სშ	

7	წევრმა სახელმწიფოებმა უნდა განსაზღვრონ პასუხისმგებლობის ზომები, მინიმუმ შემდეგ შემთხვევებში: (a) 2(f) მუხლით გათვალისწინებული საადრიცხო დოკუმენტების გასაჯაროების შეუსრულებლობა; (b) კომერციულ დოკუმენტებსა და კომპანიის ვებგვერდზე, მე-5 მუხლით გათვალისწინებული სავალდებულო მონაცემების გამოტოვება.	№2	26.1	ამ კანონის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების წარმოებისა და კონსოლიდაციის წესების, მე-7 მუხლის, მე-8 მუხლის, მე-9 მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტებისა და მე-16 მუხლის მე-11 პუნქტის მოთხოვნების შეუსრულებლობა ან/და აუდიტორული შემოწმების ჩატარებისათვის თავის არიდება გამოიწვევს სუბიექტის დაჯარიმებას: ა) მეოთხე კატეგორიის საწარმოს – 500 ლარის ოდენობით; ბ) მესამე კატეგორიის საწარმოს – 1 000 ლარის ოდენობით; გ) მეორე კატეგორიის საწარმოს – 5 000 ლარის ოდენობით; დ) პირველი კატეგორიის საწარმოს და სდპ-ისა – 10 000 ლარის ოდენობით. 1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ერთიან ელექტრონულ პორტალზე „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობა – გამოიწვევს სამეწარმეო საზოგადოების, ასევე, საზღვარგარეთ რეგისტრირებული სამეწარმეო საზოგადოების ფილიალის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის გაფრთხილებას. 2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გაფრთხილებიდან 1 თვის ვადაში გაფრთხილებით განსაზღვრული მოთხოვნის შეუსრულებლობა ან არასათანადოდ შესრულება – გამოიწვევს სამეწარმეო საზოგადოების, ასევე, საზღვარგარეთ რეგისტრირებული სამეწარმეო საზოგადოების ფილიალის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.	სშ	
7a	ამ დირექტივის კონტექსტში განხორციელებული პერსონალური მონაცემების დამუშავებას ექვემდებარება ევროპარლამენტისა და საბჭოს 1995 წლის 24 ოქტომბრის 95/46/EC დირექტივა პირადი მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული პირების დაცვისა და ამ მონაცემების თავისუფალი გადაადგილების შესახებ.				ას	პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული საკითხები საქართველოში რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით, რაც თავის მხრივ თანხვედრაშია 95/46/EC დირექტივით დადგენილ მოთხოვნებთან.

8	თუ კომპანიამ ჩამოყალიბებამდე შეიძინა სამართლებრივი სტატუსი, მისი სახელით განხორციელდა ქმედება და კომპანია ამ ქმედების შედეგად წარმოქმნილ ვალდებულებას არ იღებს საკუთარ თავზე, მოქმედი პირები, შეზღუდვის გარეშე, ერთობლივად და ცალ-ცალკე აგებენ პასუხს, თუ მიღწეული არ არის სხვაგვარი შეთანხმება.	№1	11 (1 და 2)	1. სამეწარმეო საზოგადოების რეგისტრაციამდე მისი სახელით ნაკისრ ვალდებულებებზე, უშუალოდ და შეუზღუდავად, როგორც სოლიდარული მოვალეები, პასუხს აგებენ სამეწარმეო საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორები და იმ მოქმედების შემსრულებლები, რომელმაც გამოიწვია ვალდებულების წარმოშობა, თუ კრედიტორთან სხვა რამ არ არის შეთანხმებული. 2. სამეწარმეო საზოგადოების სახელით მის რეგისტრაციამდე მოპოვებული უფლებები და ნაკისრი ვალდებულებები სამეწარმეო საზოგადოების მიერ მოწონების შემთხვევაში იქცევა სამეწარმეო საზოგადოების უფლებებად და ვალდებულებებად. ასეთ შემთხვევაში, სამეწარმეო საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორები და იმ მოქმედების შემსრულებლები, რომელმაც გამოიწვია უფლებების ან/და ვალდებულების წარმოშობა, თავისუფლდებიან ვალდებულებისგან, თუ კრედიტორთან სხვა რამ არ არის შეთანხმებული.	სშ	
9	იმ პირთა დეტალების გასაჯაროების ფორმალობების დასრულება, რომლებსაც, როგორც კომპანიის ორგანოს, გააჩნიათ უფლებამოსილება წარმოადგინონ ის, უნდა მოიცავდეს ბარიერს მათ დანიშვნაში ნებისმიერი დარღვევის წინააღმდეგ, რაც მესამე მხარესთან მიმართებით გამოიყენება, თუ კომპანია არ დაამტკიცებს, რომ მესამე მხარემ იცოდა ამის შესახებ.	№1	15.5	სამეწარმეო საზოგადოების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის დანიშვნის და მის შესახებ მონაცემთა სათანადო წესით რეგისტრაციისა და გამოქვეყნების შემთხვევაში, დაუშვებელია მესამე პირებთან ამ პირის დანიშვნის ხარვეზზე დაყრდნობა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ სამეწარმეო საზოგადოება დაამტკიცებს, რომ მესამე პირი იცნობდა ამ ხარვეზს.	სშ	
10.1	კომპანიის ორგანოების მიერ განხორციელებული ქმედებები ავალდებულებს კომპანიას, მაშინაც კი, როცა ეს ქმედებები კომპანიის საქმიანობის სფეროში არ ხდება, თუ ეს ქმედებები არ აღემატება ამ ორგანოებისთვის კანონით მინიჭებულ ან ნებადართულ უფლებამოსილებას.	№1	49 (1 – 4)	1. ხელმძღვანელი ორგანო წარმოადგენს სამეწარმეო საზოგადოებას მესამე პირებთან ურთიერთობებში. ხელმძღვანელი ორგანოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მესამე პირებთან ურთიერთობაში არ შეიძლება შეიზღუდოს. 2. თუ ხელმძღვანელი ორგანო რამდენიმე წევრისაგან შედგება, ისინი წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ახორციელებენ მხოლოდ ერთობლივად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ წესდება ადგენს ერთი ან რამდენიმე პირის ერთპიროვნულ ან რამდენიმე პირის მიერ ერთობლივ წარმომადგენლობას, ან უშვებს ასეთ შესაძლებლობას. მესამე პირებთან ურთიერთობაში გამოიყენება ამ კანონის მე-15 მუხლის მე-2-მე-4 პუნქტები. 3. თუ ხელშეკრულების დადებისას კონტრაქტისთვის ცნობილი იყო სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ, სამეწარმეო საზოგადოებას აქვს ასეთი ხელშეკრულების შეცვლის უფლება. იგივე წესი გამოიყენება, თუ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი და კონტრაქტის განზრახ მოქმედებენ ერთად, რათა ზიანი მიაღწეს იმ სამეწარმეო საზოგადოებას, რომლის სახელითაც მოქმედებს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი. 4. სამეწარმეო საზოგადოების წინაშე ნების გამოვლენის ნამდვილობისთვის საკმარისია ნების გამოვლენა მხოლოდ ერთი ხელმძღვანელი პირის წინაშე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ საზოგადოება დაადგენს ტერმინებს, რომ ნების გამოვლენისას პირი, ასევე საზოგადოების ის ხელმძღვანელი, რომლის წინაშეც იქნა გამოვლენილი ნება, მიზნად ისახავდნენ სამეწარმეო საზოგადოების ინტერესების საწინააღმდეგოდ ქმედებას.	სშ	

10.2	კომპანიის ორგანოების უფლებამოსილების ფარგლები, რომლებიც წარმოიშობა წესდებისგან ან კომპეტენტური ორგანოს გადაწყვეტილებისგან, არ შეიძლება გამოყენებული იქნეს მესამე მხარესთან მიმართებით, მათი გასაჯაროების შემთხვევაშიც კი.	№1	45.3	პარტნიორთა კრება, ხოლო სამეთვალყურეო საბჭოს არსებობის შემთხვევაში, სამეთვალყურეო საბჭო, უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს გაათავისუფლოს თანამდებობიდან ხელმძღვანელი პირი შესაბამისი საფუძვლის მითითების გარეშე. ნებისმიერი შეთანხმება, რომელიც ეწინააღმდეგება ამ დებულებას, ბათილია.	სშ	
10.3	თუ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა უზრუნველყოფს, რომ სუბიექტის მარეგულირებელი სამართლებრივი წესების დარღვევით, კომპანიის წარმომადგენლობის უფლებამოსილება შესაძლებელია წესდებით მიენიჭოს ერთ პიროვნებას ან ერთობლივად მოქმედ რამდენიმე პირს, შეიძლება კანონი ითვალისწინებდეს, რომ წესდებაში ასეთი დებულება გამოყენებული იქნეს მესამე მხარესთან მიმართებით, იმ პირობით, რომ ეს შეეხება წარმომადგენლობის საერთო ძალაუფლებას; ამ წესდების დებულების მესამე მხარესთან მიმართებით გამოყენების საკითხს არეგულირებს მე-3 მუხლი.	№1	45.2	ხელმძღვანელი პირი თანამდებობაზე ინიშნება არაუმეტეს 3 წლის ვადით, ხელახლა დანიშვნის უფლებით, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. თუ ვადის ამოწურვის შემდეგ, კანონით დადგენილი წესით არ მოხდება უფლებამოსილების ახალი ვადის ან ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ცვლილების რეგისტრაცია, რეგისტრირებული პირის უფლებამოსილების ვადა ითვლება გაგრძელებულად განუსაზღვრელი ვადით.	სშ	
11	ყველა წევრ სახელმწიფოში, რომლის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს პრევენციულ, ადმინისტრაციულ ან სამართლებრივ კონტროლს, კომპანიის ჩამოყალიბების დროს, სადამფუძნებლო დოკუმენტაცია, კომპანიის წესდება და ამ დოკუმენტებში შესული შესწორებები უნდა შედგეს და დამოწმდეს სათანადო სამართლებრივი ფორმით.	№1	9.4	მარეგისტრირებელ ორგანოში წარდგენილი მონაცემების/დოკუმენტაციის ნამდვილობაზე, მათი შინაარსის სისწორესა და შექმნის პროცედურების დაცვაზე პასუხისმგებელია კანონით ან/და სამეწარმეო საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმებით განსაზღვრული, ამ მონაცემებისა და დოკუმენტების შექმნაზე უფლებამოსილი პირი/ორგანო. მარეგისტრირებელი ორგანო პასუხისმგებელია მხოლოდ რეგისტრირებული მონაცემებისა და მასთან დაცული სარეგისტრაციო თუ სხვა დოკუმენტაციის ურთიერთშესაბამისობასა და უსაფრთხოებაზე.	სშ	საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული კონტროლი. შესაბამისად, არ მოითხოვება დოკუმენტების შედგენის და დამოწმების განსხვავებული ფორმა.

12	წევრ სახელმწიფოთა კანონმდებლობამ შეიძლება დაარეგულიროს კომპანიის ბათილობა მხოლოდ შემდეგი დებულებების შესაბამისად: (a) ბათილობა უნდა გამოცხადდეს სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე; (b) ბათილობა შეიძლება გამოცხადდეს მხოლოდ შემდეგი საფუძვლებით: (i) თუ არც ერთი სადამფუძნებლო დოკუმენტი არ აღსრულდა ან პრევენციული კონტროლის წესები ან სათანადო სამართლებრივი ფორმალობები არ დაკმაყოფილდა; (ii) თუ კომპანიის მიზნები არის მართლსაწინააღმდეგო ან ეწინააღმდეგება საჯარო პოლიტიკას; (iii) თუ სადამფუძნებლო დოკუმენტაცია ან წესდება არ მიუთითებს კომპანიის დასახელებას, კაპიტალის ინდივიდუალური გამოწერების რაოდენობას, გამოწერით გამოშვებული სააქციო კაპიტალის სრულ ოდენობას ან კომპანიის მიზნებს; (iv) თუ არ იქნა დაცული ეროვნული კანონმდებლობის დებულებები, კაპიტალის მინიმალური ოდენობის დაფარვის შესახებ; (v) თუ ყველა დამფუძნებელი წევრი მხარდაჭერის მიმღებია; (vi) თუ კომპანიის მარეგულირებელი ეროვნული კანონმდებლობის საწინააღმდეგოდ, დამფუძნებელ წევრთა რაოდენობა ორზე ნაკლებია. გარდა ბათილობის ზემოაღნიშნული საფუძვლებისა, კომპანია არანაირი მიზეზით არ დაექვემდებარება არარსებობას, აბსოლუტურ ბათილობას, არასრულ ბათილობას, ან ბათილობის გამოცხადებას.	№1	82	1. თუ სამეწარმეო საზოგადოების რეგისტრირებული მონაცემები აღარ შეესაბამება ამ კანონით განსაზღვრულ რეგისტრაციის სავალდებულო პირობებს, მარეგისტრირებელი ორგანო თავისივე ინიციატივით იღებს გადაწყვეტილებას ხარვეზის დადგენის შესახებ და სამეწარმეო საზოგადოებას ანიჭებს ხარვეზიანი საზოგადოების სტატუსს, რის შესახებაც მიეთითება რეესტრში და ეცნობება სამეწარმეო საზოგადოებას. ხარვეზიანი საზოგადოების სტატუსის არსებობის პერიოდში ჩერდება რეგისტრირებული მონაცემების მოქმედება და მეწარმეთა დაარასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერი არ გაიცემა. 2. რეგისტრირებული მონაცემების მოქმედების შეჩერებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის გაცემის დაუშვებლობის წესი მოქმედებს მარეგისტრირებელი ორგანოს იმავე პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაშიც. 3. ხარვეზიანი საზოგადოების მიერ ხარვეზის აღმოფხვრის დამადასტურებელი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენისა და მის საფუძველზე რეგისტრაციის განხორციელების შემდეგ, ხარვეზიანი საზოგადოების სტატუსი უქმდება.	ნშ	მითითებული ნორმის საფუძველზე, იმ შემთხვევაში, თუ სარეგისტრაციო მონაცემებში აღმოჩნდება ხარვეზი, აღნიშნული არ გამოიწვევს საწარმოს ბათილობას, საწარმოს მიენიჭება ხარვეზიანი საწარმოს სტატუსი და ამის თაობაზე ეცნობება მის უფლებამოსილ წარმომადგენლებს. საწარმოს მიეცემა შესაძლებლობა აღმოფხვრას ის უზუსტობები, რაც მათ რეგისტრირებულ მონაცემებშია. საწარმოს რეგისტრირებული მონაცემების მოქმედება შეჩერდება იქამდე, სანამ საწარმოს უფლებამოსილი პირი არ აღმოფხვრის შეუსაბამობას.
----	--	----	----	---	----	---

13	1. საკითხი, გამოიყენება თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილება ბათილობის შესახებ მესამე მხარესთან მიმართებით, უნდა რეგულირდებოდეს მე-3 მუხლით. თუ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა მესამე მხარეს უფლებას აძლევს გაასაჩივროს გადაწყვეტილება, ამის გაკეთება შესაძლებელია მხოლოდ ექვსი თვის განმავლობაში, სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ ოფიციალური შეტყობინების გაცემის შემდეგ. 2. ბათილობა, ისევე როგორც შეიძლება დაშლამ, გამოიწვევს კომპანიის ლიკვიდაციას. 3. ბათილობა, როგორც ასეთი, არ იქონიებს გავლენას კომპანიის მიერ ან კომპანიის მიმართ აღებული ვალდებულებების ვალიდურობაზე, კომპანიაში მიმდინარე ლიკვიდაციის შედეგების შეუზღუდავად. 4. თითოეული წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობამ შეიძლება კომპანიის წევრებს შორის დაარეგულიროს ბათილობის შედეგები. 5. წილებისა და აქციების მფლობელები უნდა დარჩნენ ვალდებულნი, რათა დაფარონ მათ მიერ გამოწერილი, შეთანხმებული, მაგრამ ჯერ დაუფარავი კაპიტალი იმდენად, რამდენადაც კრედიტორების წინაშე ვალდებულებები მოითხოვს ამას.	№1	82	1. თუ სამეწარმეო საზოგადოების რეგისტრირებული მონაცემები აღარ შეესაბამება ამ კანონით განსაზღვრულ რეგისტრაციის სავალდებულო პირობებს, მარეგისტრირებელი ორგანო თავისივე ინიციატივით იღებს გადაწყვეტილებას ხარვეზის დადგენის შესახებ და სამეწარმეო საზოგადოებას ანიჭებს ხარვეზიანი საზოგადოების სტატუსს, რის შესახებაც მიეთითება რეესტრში და ეცნობება სამეწარმეო საზოგადოებას. ხარვეზიანი საზოგადოების სტატუსის არსებობის პერიოდში ჩერდება რეგისტრირებული მონაცემების მოქმედება და მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერი არ გაიცემა. 2. რეგისტრირებული მონაცემების მოქმედების შეჩერებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის გაცემის დაუშვებლობის წესი მოქმედებს მარეგისტრირებელი ორგანოს იმავე პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაშიც. 3. ხარვეზიანი საზოგადოების მიერ ხარვეზის აღმოფხვრის დამადასტურებელი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენისა და მის საფუძველზე რეგისტრაციის განხორციელების შემდეგ, ხარვეზიანი საზოგადოების სტატუსი უქმდება.	6შ	იხილეთ შენიშვნა დირექტივის მე-12 მუხლზე, მე-7 ველში
13a	1. დელეგირებული აქტების მიღების უფლებამოსილება ეძლევა კომისიას ამ მუხლით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. 2. 4d მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული აქტების მიღების უფლებამოსილება კომისიას ეძლევა განუსაზღვრელი ვადით. 3. 4d მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების დელეგირება შეიძლება გაუქმდეს ნებისმიერ დროს ევროპარლამენტის ან საბჭოს მიერ. გაუქმების გადაწყვეტილებით დამთავრდება ამ გადაწყვეტილებაში მითითებული უფლებამოსილების დელეგირება. იგი ძალაში შედის გადაწყვეტილების ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნების მომდევნო დღეს ან მოგვიანებით მითითებული კონკრეტული თარიღის შესაბამისად. ეს გავლენას არ მოახდენს უკვე ძალაში შესული დელეგირებული აქტების მოქმედებაზე. 4. დელეგირებული აქტის მიღებისთანავე, კომისია ერთდროულად ატყობინებს ევროპარლამენტსა და კომისიას.				ას	წინამდებარე დებულება განკუთვნილია წევრი სახელმწიფოებისათვის, ეხება კომისიის მიერ დელეგირებული აქტების მიღების უფლებამოსილებას.

	5. დელეგირებული აქტი, რომელიც მიღებულია 4d მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ძალაში შედის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ აქტის შესახებ შეტყობინების მიღებიდან სამი თვის განმავლობაში ევროპარლამენტი ან საბჭო არ გამოთქვამს რაიმე პროტესტს, ან თუ ამ ვადის გასვლამდე ევროპარლამენტმა და საბჭომ შეატყობინეს კომისიას, რომ ისინი არ არიან წინააღმდეგნი. ევროპარლამენტის ან საბჭოს ინიციატივით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს 3 თვით.					
14	წევრმა სახელმწიფოებმა კომისიას უნდა გააცნონ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის იმ ძირითად დებულებათა ტექსტი, რომელსაც ისინი მიიღებენ წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებულ სფეროში.				ას	წინამდებარე დებულებასთან შეესაბამება წევრი სახელმწიფოებისათვის.
15	კომისიამ ევროპარლამენტს და საბჭოს, არაუგვიანეს 2012 წლის 1 იანვრისა, უნდა წარუდგინოს ანგარიში, საჭიროების შემთხვევაში წინადადებასთან ერთად, 2(f) და მე-3, მე-4, მე-5 და მე-7 მუხლების დებულებების შესაბამისად, მოცემული დებულებების მიღებისას შეძენილი გამოცდილების, მათი მიზნებისა და იმ პერიოდში შენიშნული ტექნოლოგიური განვითარებების საფუძველზე.				ას	წინამდებარე დებულებასთან შეესაბამება წევრი სახელმწიფოებისათვის.
16	ძალადაკარგულად გამოცხადდება დირექტივა 68/151/EEC, რომელშიც ბოლოს შესწორებები შევიდა I დანართის A ნაწილით გათვალისწინებული აქტებით, I დანართის B ნაწილით განსაზღვრული დირექტივის შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობაში გადმოტანის ვადებთან დაკავშირებით წევრი სახელმწიფოების ვალდებულებათა შეუზღუდავად. მითითებები ძალადაკარგულ დირექტივაზე განიმარტება, როგორც მითითება წინამდებარე დირექტივაზე II დანართით განსაზღვრული კორელაციის ცხრილის მიხედვით.				ას	წინამდებარე დებულებასთან შეესაბამება წევრი სახელმწიფოებისათვის.
17	წინამდებარე დირექტივა ძალაში შედის მისი ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნებიდან მეოცე დღეს.				ას	წინამდებარე დებულებასთან შეესაბამება წევრი სახელმწიფოებისათვის.
18	ეს დირექტივა ვრცელდება წევრ სახელმწიფოებზე.				ას	წინამდებარე დებულებასთან შეესაბამება წევრი სახელმწიფოებისათვის.

დანართი I ნაწილი A	გაუქმებული დირექტივა მასში შემდგომში შესული შესწორებების სასთან ერთად (მოხსენიებულია მე -16 მუხლში) საბჭოს დირექტივა 68/151/EEC (OJ L 65, 14.3.1968, გვ. 8) 1972 წლის შეერთების აქტის I დანართის III.H პუნქტი (OJ L 73, 27.3.1972, გვ. 89) 1979 წლის შეერთების აქტის I დანართის III.C პუნქტი (OJ L 291, 19.11.1979, გვ. 89) 1985 წლის შეერთების აქტის I დანართის II.D პუნქტი (OJ L 302, 15.11.1985, გვ. 157) 1994 წლის შეერთების აქტის I დანართის XI.A პუნქტი (OJ C 241, 29.8.1994, გვ. 194) ევროპარლამენტისა და საბჭოს 2003/58/CE დირექტივა (OJ L 221, 4.9.2003, გვ. 13) 2003 წლის შეერთების აქტის II დანართის 1.4.A პუნქტი (OJ L 236, 23.9.2003, გვ. 338) საბჭოს დირექტივა 2006/99/EC დანართის მხოლოდ A.1 პუნქტი (OJ L 363, 20.12.2006, გვ. 137)				ას	წინამდებარე დირექტივა განკუთვნილია წევრი სახელმწიფოებისათვის.
ნაწილი B	ეროვნული კანონმდებლობაში გადასვლის ვადების წუსხა (მოხსენიებულია მე -16 მუხლში)					

	<table><tr><td>დირექტივა</td><td>ტრანსპოზიციის ვადა</td></tr><tr><td>68/151/EEC</td><td>1969 წლის 11 სექტემბერი</td></tr><tr><td>2003/58/EC</td><td>2006 წლის 30 დეკემბერი</td></tr><tr><td>2006/99/EC</td><td>2007 წლის 1 იანვარი</td></tr></table>	დირექტივა	ტრანსპოზიციის ვადა	68/151/EEC	1969 წლის 11 სექტემბერი	2003/58/EC	2006 წლის 30 დეკემბერი	2006/99/EC	2007 წლის 1 იანვარი																	
დირექტივა	ტრანსპოზიციის ვადა																									
68/151/EEC	1969 წლის 11 სექტემბერი																									
2003/58/EC	2006 წლის 30 დეკემბერი																									
2006/99/EC	2007 წლის 1 იანვარი																									
დანართი II	<table><tr><td colspan="2">კორელაციის ცხრილი</td></tr><tr><td>დირექტივა 68/151/EEC</td><td>ეს დირექტივა</td></tr><tr><td>მუხლი 1</td><td>მუხლი 1</td></tr><tr><td>მუხლი 2</td><td>მუხლი 2</td></tr><tr><td>მუხლი 3(1)</td><td>მუხლი 3(1)</td></tr><tr><td>მუხლი 3(2)</td><td>მუხლი 3(3)</td></tr><tr><td>მუხლი 3(3)</td><td>მუხლი 3(4)</td></tr><tr><td>მუხლი 3(4)</td><td>მუხლი 3(5)</td></tr><tr><td>მუხლი 3(5)</td><td>მუხლი 3(6)</td></tr><tr><td>მუხლი 3(6), პირველი და მეორე ქვეპუნქტები</td><td>მუხლი 3(7), პირველი და მეორე ქვეპუნქტები</td></tr></table>	კორელაციის ცხრილი		დირექტივა 68/151/EEC	ეს დირექტივა	მუხლი 1	მუხლი 1	მუხლი 2	მუხლი 2	მუხლი 3(1)	მუხლი 3(1)	მუხლი 3(2)	მუხლი 3(3)	მუხლი 3(3)	მუხლი 3(4)	მუხლი 3(4)	მუხლი 3(5)	მუხლი 3(5)	მუხლი 3(6)	მუხლი 3(6), პირველი და მეორე ქვეპუნქტები	მუხლი 3(7), პირველი და მეორე ქვეპუნქტები				ას	წინამდებარე დებულება განკუთვნილია წევრი სახელმწიფოებისათვის.
კორელაციის ცხრილი																										
დირექტივა 68/151/EEC	ეს დირექტივა																									
მუხლი 1	მუხლი 1																									
მუხლი 2	მუხლი 2																									
მუხლი 3(1)	მუხლი 3(1)																									
მუხლი 3(2)	მუხლი 3(3)																									
მუხლი 3(3)	მუხლი 3(4)																									
მუხლი 3(4)	მუხლი 3(5)																									
მუხლი 3(5)	მუხლი 3(6)																									
მუხლი 3(6), პირველი და მეორე ქვეპუნქტები	მუხლი 3(7), პირველი და მეორე ქვეპუნქტები																									

	მუხლი 3(7)	მუხლი 3(7), მე-3 ქვეპუნქტი					
	მუხლი 3(8)	მუხლი 3(2)					
	მუხლი 3a	მუხლი 4					
	მუხლი 4	მუხლი 5					
	მუხლი 5	მუხლი 6					
	მუხლი 6	მუხლი 7					
	მუხლი 7	მუხლი 8					
	მუხლი 8	მუხლი 9					
	მუხლი 9	მუხლი 10					
	მუხლი 10	მუხლი 11					
	მუხლი 11, შესავალი	მუხლი 12, შესავალი					
	მუხლი 11, პუნქტი 1	მუხლი 12, პუნქტი(a)					
	მუხლი 11, პუნქტი 2, შესავალი	მუხლი 12, პუნქტი (b), შესავალი					
	მუხლი 11, პუნქტი 2, პუნქტები(a)-(f)	მუხლი 12, პუნქტი (b), პუნქტები(i)-(vi)					
	მუხლი 12	მუხლი 13					
	მუხლი 13, პირველი, მეორე და მესამე პუნქტები	—					
	მუხლი 13, მეოთხე პუნქტი	მუხლი 14					
	მუხლი 14	მუხლი 18					
	—	მუხლი 15					
	—	მუხლი 16					
	—	მუხლი 17					
	—	დანართი I					
	—	დანართი II					